



ქ. გორის სერგი მაკალათიას სახელობის
ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

სერგო ცალიშვილი



ქ. გორის
მუზეუმი

ქართლის
არქეოლოგიური
ძეგლები



სერგო ნადიმაშვილი
(1917-2009)



ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის
სერვი მაკალათიას სახელობის
ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

სერვი ნადიმაშვილი

**ქართლის
არქეოლოგიური
კავშირი**

თბილისი
2016

წიგნი წარმოადგენს ცნობილი ქართველი არქეოლოგის და სამუზეუმო მოღვაწის, სერგო ნადიმაშვილის მიერ 1938–43 წლებში ქართლის ტერიტორიაზე ჩატარებულ საველე არქეოლოგიურ ძიებათა შედეგების ამსახველ, აქმდე გამოუქვეყნებელი მოხსენებების კრებულს. წიგნში დასახელებული არქეოლოგიური ძეგლების ერთი ნაწილი დღემდე შეუსწავლელია და, ამდენად, ამ მასალების გაცნობა უდავოდ საინტერესო იქნება შესაბამისი დარგის მკვლევარებისთვის.

რედაქტორი თინათინ სოსანიძე

წიგნი გამოსაცემად მოამზადა სოლომონ ნადიმაშვილმა

ინგლისურენოვანი რეზიუმე – 0ლ0ა ნადიმაშვილი

წინა ყდაზე: ევტიხი ქვანიას ფოტონამუშევარი –
სერგო ნადიმაშვილი, 1936 წ.

უკანა ყდაზე: ბრინჯაოს ჭვირული ბალთა სოფ.
კიტრეულადან, ახ. წ. I-II სს. (გსიქ №3908).

ISBN 978-9941-0-9596-2

ნინასიტყვაობის მაგიერ

ცნობილმა ქართველმა არქეოლოგმა და სამუზეუმო მოღვაწემ, სერგო ილიას ძე ნადიმაშვილმა (1917-2009) ჯერ კიდევ 1930-40-იან წლებში თითქმის მთლიანად შემოიარა შიდა ქართლის და მისი მიმდებარე რეგიონების ხეობები და სოფლები, აღნუსება რა მეცნიერებისათვის მანამდე უცნობი მრავალი არქეოლოგიური და ხუროთმოძღვრული ძეგლი. თავისი დაუცხომელი ძიების შედეგად მან სხვადასხვა მნიშვნელოვანი არქეოლოგიური, ისტორიული და ეთნოგრაფიული ექპონატებით გაამდიდრა: აკად. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო, გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული, ცხინვალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმების ფონდები.

არქეოლოგიაში სერგო ნადიმაშვილის მოღვაწეობის დაწყება უკავშირდება ქართული მეცნიერების პატრიარქის, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელს, რომელმაც 18 წლის ახალგაზრდას 1935 წელს დაავალა ქართლის ტერიტორიაზე ხუროთმოძღვრულ და არქეოლოგიურ ძეგლთა მოძიება და გამოვლენა. შემდგომ, 1936 წელს, აკად. ივ. ჯავახიშვილის და ლევან (ლენქო) მუსხელიშვილის რეკომენდაციით, ს. ნადიმაშვილმა მონაწილეობა მიიღო თრიალეთის არქეოლოგიური ექპედიციის მუშაობაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა აკად. ბორის კუფტინი. ამ დროიდან ს. ნადიმაშვილი აკად. ბ. კუფტინის თითქმის ყველა ექსპედიციის აქტიური მონაწილე იყო (1936-1952).

1938 წლიდან 1952 წლამდე ს. ნადიმაშვილი იყო საქართველოს არქიტექტურულ საქმეთა სამმართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილების რწმუნებული გორის რაიონსა და გ. წ. „სამხრეთ ოსეთში“ (იმდროინდელი ადმინისტრაციული დაყოფით), პარალელურად, 1938 წლიდან მუშაობდა გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის (1943 წლიდან სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ქ. გორში) მეცნიერ თანამშრომლად (1952-2001 – დირექტორად). სერგო ნადიმაშვილის მიერ 1930-40-იან წლებში ჩატარებულ არქეოლოგიურ დაზვერვათა და ძეგლთა მოძიების საველე სამუშაოების

ერთი ნაწილის ამსახველია წინამდებარე კრებულში წარმოდგენილი კონკრეტული ხასიათის მოხსენებები, რომლებიც წლების მანძილზე გამოუქვეყნებელი იყო.

სერგო ნადიმაშვილი აქტიურად მუშაობდა არქეოლოგიური კვლევა-ძიების მეთოდიების თეორიულ საკითხებზეც, რისი დასტურიცაა კრებულში მოცემული ნაშრომი – „რა არის ყორდანები და მათი შესწავლის მიზანი“. გარდა აღწერა-ფიქსაციისა, სერგო ნადიმაშვილი დიდ ყურადღებას აქცევდა მის მიერ გამოვლენილ არქეოლოგიურ ძეგლთა ტოპონიმიკასაც, რომელთა სახელწოდებები ხშირ შემთხვევაში ზუსტად შეესაბამება არქეოლოგიურ თუ ხუროთმოძღვრების ძეგლთა უწინდელ დანიშნულებას და მათ ისტორიასაც კი ეხმიანება. ამდენად, ნაშრომში ნახსენები ტოპონიმიკური მასალა ქართული ენათმეცნიერებისათვის საინტერესო იქნება.

კრებულში მოცემული მოხსენებები: „რა არის ყორდანები და მათი შესწავლის მიზანი“, „წალკაში აღმოჩენილი ყორდანები“, „ქართლში ახლა აღმოჩენილი ყორდანები“, <<ტყვიავის „ქველ მაღლების“ ყორდანები და მათი აღმოჩენის ისტორია>> სერგო ნადიმაშვილის მიერ წაკითხული იყო 1939 წელს, გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის სამეცნიერო წრის სხდომაზე.

1930-40-იან წლებში სერგო ნადიმაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობას ასახავს აკადემიკოსების, ნიკოლოზ ბერძენიშვილის და ბორის კუფტინის დახასიათებები, რაც ასევე პირველად ქვეყნდება.

სერგო ნადიმაშვილის მიერ 1930–40-იან წლებში მიკვლეული არქეოლოგიური ძეგლების ერთი ნაწილი გამოქვეყნებული იქნა აკად. ბ. კუფტინის, პროფ. ს. მაკალათიას, პროფ. ო. ჯაფარიძის და სხვა მკვლევართა ნაშრომებში¹.

კრებულს თან დავურთეთ სერგო ნადიმაშვილის შესახებ არსებული ბიბლიოგრაფიის სია, შედგენილი მისი პირადი წიგნადი ფონდის და პერიოდიკის მიხედვით (ამდენად, იგი

¹ 1. იხ. 1. თათარ ჯაფარიძე – ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბილისი, 1961 წ. 2. Р. М. Мунчав – Древнейшая культура Северо-восточного Кавказа. М.И.А. N 100, Москва, 1961 г.

არასრულია). ასევე პირველად ქვეყნდება 1930–40-იანი წლების არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობის ამსახველი ზოგიერთი ფოტო ს. ნადიმაშვილის პირადი ფოტოარქივიდან.

კრებულში – „ქართლის არქეოლოგიური ძეგლები“ – დასახელებული, სერგო ნადიმაშვილის მიერ 1930–40-იან წლებში შიდა ქართლის ტერიტორიაზე მიკვლეული არქეოლოგიური ძეგლების: უძველესი ნასოფლარ-ნამოსახლარების („განმხოლებული გორების“), ყორდანების და სხვა სახის არტეფაქტების გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ შეუსწავლელია და, ამდენად, ისინი უდავოდ საინტერესო მასალას წარმოადგენენ მომავალი არქეოლოგიური კვლევისათვის.

იმედს გამოვთქვამთ, რომ სერგო ნადიმაშვილის მიერ შიდა ქართლში აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები ქართველი ოუ უცხოელი მკვლევარების მიერ გამომზეურდება და უფრო მეტად წარმოჩინდება კავკასიის უძველესი მკვიდრი მოსახლე – „ქართველურ ტომთა“ მიერ შექმნილი ოვითმყოფადი კულტურა.

სოლომონ ნადიმაშვილი



აკადემიკოსი
ნიკოლოზ ბერძენიშვილი
/1895-1965/

დახასიათება

სერგო ილიას ძე ნადიმაშვილი იმ ენთუზიასტი არქეოლოგების რიცხვს ეკუთვნის, რომელიც ხშირად სამეცნიერო დაწესებულებათა გარეშეც, საკუთარი თაოსნობითა და სახსრებითაც კი ნაყოფიერად მუშაობენ ჩვენ ქვეყანაში მრავლად მიმოფანტული, მიწისზედა თუ მიწისქვეშა ძეგლების მოგროვება-აღწერის, სამუზეუმო დაცვისა და შესწავლისათვის. 12 წელიწადზედ მეტია, რაც იგი ამგვარ მუშაობას ეწევა. 1935 წელს საქართველოს მხარეობის საზოგადოებისა და ინსტიტუტის დავალებით ატარებდა ფეოდალური ხანის ძეგლთა ფიქსაცია-აღწერას პატარა და დიდი ლიახვის ხეობებში. 1936—1941 წწ. ასეთსავე მუშაობას ეწეოდა შიდა ქართლში, რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმის დაგვალებით. 1936-სა და 1940 წლებში მონაწილეობდა საქართველოს კულტ. ძეგლთა დაცვის განყოფილების ორიალეთის არქეოლოგიურ ექსპედიციაში (პროფ. ბ. კუჭტინის ხელმძღვანელობით), სადაც მან უთუოდ საფუძვლიანი

მომზადება მიიღო საველე მუშაობის მეთოდიკის მხრივ. 1938 წ. და 1940 წ. იგი მუშაობდა იმავე განყოფილებისა და გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ტყვიავის არქეოლოგიურ ექსპედიციაში (დოც. ს. მაკალათიას ხელმძღვანელობით), რომელიც სთხოდა მის მიერ მიგნებულ ყორდანებს. 1939 წელს კულტ. ძეგლთა დაცვის განყოფილების დავალებით დაზვერვითი თხრა ჩაატარა გორის ციხეზე და მიაკვლია იქ ანტიკური დროის ნაშთებს. 1938 წლიდან 1941 წლამდე მსახურობდა გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში არქეოლოგიური განყოფილების უმცროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე, ხოლო 1941-1942 წწ. (წითელ არმიაში მობილიზაციამდე) – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული არქეოლოგიის განყოფილების უმცრ. მეცნ. მუშაკად (კამერალურად ამუშავებდა თრიალეთის ექსპედიციის მასალებს პროფ. ბ. კუფტინის ხელმძღვანელობით). დემობილიზაციის შემდეგ, 1944-1945 წწ. კვლავ გორის მუზეუმში მუშაობდა, არქეოლოგიის განყოფილების მეცნ. მუშაკად, პარალელურად განაგებდა სამხრეთ ოსეთის სამხარეთმცოდნეო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებას (საქ. განსახკომის კულტ.-საგანმანათლებლო დაწესებულებათა სამმართველოს მივლინებით). 1944 წელს ფრონტს ხეობის არქეოლოგიურ ძეგლთა დაზვერვაზე მუშაობდა, 1945 წელს – დვანის არქეოლოგიურ ექსპედიციაში მონაწილეობდა. 1938 წლიდან დღემდე ითვლება არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს კულტ. ძეგლთა დაცვის განყოფილების რწმუნებულად გორის რაიონში და სამხრეთ ოსეთში.

ამხ. ნადიმაშვილს არქეოლოგიურად დაზვერილი აქვს ქართლი ბორჯომიდან მცხეთამდე, მტკვრის შუაწელის შენაკადთა ხეობებს ასწერივ (ლიახვები, ფრონტ, ლეხურა, ქსანი, ნიჩბურა, კავთურა, სკრულა, თეძამი, ტანა, ძამა და მათი შენაკადების – ჭარებულას, ბერშოულა-ხურვალეთის, მეჯუდის, ათრევას და სხვ. ხეობები და აგრეთვე თრიალეთისა და გუჯარეთის ზოგი ადგილი). იგი სპეციალურად ადევნებდა თვალყურს ნატახტარ-გორის გზატკეცილის მშენებლობისას და ტირიფონის არხს გასწვრივ შემთხვევით

აღმოჩენებს. დაზვერვის შედეგად მის მიერ მოპოვებული მასალები თავმოყრილია საქართველოს მუზეუმის ისტორიულ განყოფილებაში, გორისა და სტალინირის მუზეუმებში. ამავე მუზეუმებში ადრევე მოხვედრილი საყურადღებო ექსპონატების აღმოჩენის ადგილისა და ვითარების შემოწმება-დაზუსტების მიზნითაც ამს. ნადიმაშვილს დიდი მუშაობა აქვს ჩატარებული.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტმა, გაითვალისწინა რა ს. ნადიმაშვილის რიგი უტყუარი დირსებანი და ქართლის არქეოლოგიურ ძეგლთა კარგად ცოდნა, 1946 წლიდან ჩააბა იგი თავის ექსპედიციებში – სამხრეთ ოსეთსა და თრიალეთში (მეცნ. კანდ. გ. გობეჯიშვილის ხელმძღვანელობით), სადაც მან თავი გამოიჩინა, როგორც დაუზარელმა სასარგებლო მეცნიერმა, რომელსაც მახვილი საგელე აღდო, დაკვირვების უნარი და დიდი გამოცდილება აქვს.

1948 წლის გაზაფხულზე ინსტიტუტმა ხელშეკრულებით მოიწვია ს. ნადიმაშვილი და დაავალა მას არქეოლოგიური დაზვერვის ჩატარება ლიახვის შუაწელისა და ფრონეს ხეობებში, რაც მან წარმატებით შეასრულა, ზედმიწევნით საყურადღებო სამუზეუმო მასალა ჩამოიტანა და მიმდინარე თვეში კიდევაც წაიკითხა სათანადო საანგარიშო მოხსენება ინსტიტუტში. ამასთანავე მას აქვს რამოდენიმე დაუბეჭდავი ნაშრომი – დაზვერვათა ანგარიშები და ზოგიერთი ძეგლის პალეოზის შედეგები.


ამს. ნადიმაშვილი დიდი სიყვარულითა და ენერგიით ეკიდება საქართველოს არქეოლოგიურ შესწავლას და იგი ერთნაირად სასარგებლო მუშაკია როგორც საველე, ისე სამუზეუმო საქმიანობაში.

ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი

საქ. სსრ მეცნ. აკად. ნ. წ. ნ. ბერძენიშვილი

30. VI – 48 წ.

**აკადემიკოსი
ბორის პუშტინი
/1892-1953/**



/თარგმანი რუსულიდან/

ს. ი. ნადიმაშვილს ვიცნობ როგორც სამუზეუმო და საველე მუშაკს. იგი მეცნიერ თანამშრომლის სახით არაერთხელ იღებდა მონაწილეობას ჩემ მიერ ნახელმდღვანელებ არქეოლოგიურ ექსპედიციებში: თრიალეთში (1936-40), სამხრეთ ოსეთში (1945) და ყოველთვის ავლენდა კარგ შრომისუნარიანობას, საქმისადმი ერთგულებას და საორგანიზაციო ინიციატივობას, – განსაკუთრებით აუცილებელს საექსპედიციო პირობებში.

1941 წელს (მობილიზაციამდე) იგი მუშაობდა ასევე ჩემთან, ექსპედიციის მასალების კამერალურ დამუშავებაზე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში და ყოველთვის წარმატებით ასრულებდა დავალებებს არქეოლოგიურ დაზერვათა მხრივ.

ნადიმაშვილმა, თავისი საქმის სიყვარულით, შეიძინა მნიშვნელოვანი გამოცდილება და „კარგი თვალი“ სამუზეუმო არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის დარგში. მას ეკუთვნის დიდი რაოდენობა მშვენიერი შენაკრები მასალისა გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის არქეოლოგიურ კოლექციითა შორის, სადაც იგი რამდენიმე წლის მანძილზე

მუშაობდა მეცნიერ თანამშრომლად. მის მიერ შიდა ქართლის და სამხრეთ ოსეთის არქეოლოგიური რექისათვის დაგროვილი მასალები უკვე გახდა საწყისი მთელი რიგი არქეოლოგიური პლევა-ძიებებისათვის, რომლებმიც თავად იგი აგრეთვე აქტიურ მონაწილეობას იღებდა: ტყვიავის ყორდანების, სა-კულტო გორა ნაცარგორას, დვანის, ზღუდრისგვერდას და სხვა გათხრებში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი **ბ. აუგტინი**

8 სექტემბერი, 1948 წელი.

С. И. Надимашвили знаю как музейного и полевого работника. Он неоднократно принимал участие в качестве научного сотрудника в руководимых мною археологических экспедициях, в Триалети (1936-1940), Юго_Осетии (1945) и всегда проявлял хорошую работоспособность, преданность делу и организационную инициативность, особенно необходимую в экспедиционных условиях.

В 1941 году (до мобилизации) он работал также у меня по камеральной обработке экспедиционных материалов в Гос. музее Грузии и всегда с успехом выполнял задания по археологическим разведкам.

Любя свое дело, Надимашвили приобрел значительный опыт и хороший глаз в области музейной археологии и этнографии. Ему принадлежит большое количество прекрасных сборов среди археологических коллекций историко-этнографического музея в Гори, где он работал в течение нескольких лет в качестве научного сотрудника. Накопленный им материал для археологической карты Внутренней Картли и Юго_Осетии уже послужил началом для ряда археологических исследований, в которых он сам также принимал активное участие: раскопки Тквиавских курганов, культового холма Нацар Гора, Двани, Згудрис гверда и др.

Д/чл. Академии Наук ССР Грузии **Б. Куфтин.**

8 сентября 1948 г.

სერგო ნადიმაშვილი

1. რა არის ყორდანები და მათი შესხავლის მიზანი

ყორდანები ისეთივე დანიშნულების ძეგლებია, როგორც პირამიდები, დოლმენები და ქვაყუთები. იქ მარხავდნენ მიც-ვალებულებს ორმოში ან სამარხში, ან კრემაციის შემდეგ ათავსებდნენ მათ ფერფლს. ხშირად ერთი და იგივე ტიპის სამარხების სხვადასხვა სახეებს ვხვდებით ერთი და იმავე დროს. ყორდანების ჯგუფში შედის სხვადასხვა სახის და მოყვანილობის ყორდანები, რომლებიც შეგვიძლია დავანაწილოთ და დავყოთ შემდეგნაირად: I. სიღიდის მხრივ – ა) მონუმენტური; ბ) საშუალო; გ) მომცრო; დ) პატარა; II. მოცულობის მხრივ – ა) სიმაღლით 20-30 მეტრის და უფრო მაღალიც, დიამეტრით 100-150 მეტრი; ბ) საშუალო სიმაღლის – 10-20 მეტრამდე, დიამეტრით 50-100 მ-მდე; გ) მომცრო სიმაღლის – 5-10 მეტრამდე, დიამეტრით 20-50 მ-მდე; დ) პატარა სიმაღლის – 2-5 მეტრამდე, დიამეტრით 10-20 მეტრამდე.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოხსენებული ტიპის ყორდანების ზომა შეიძლება ზოგჯერ უფრო დიდი ან მცირე სიღიდის იყოს და მოცემული ზომები ჩვენ არ მიიჩნიოთ დოგმატურად. აგრეთვე, ზოგ შემთხვევაში ზემოაღნიშნული ზომის ყორდანებზე უფრო დიდი ზომის ყორდანებიც გვხვდება, მაგრამ, მეორე მხრივ, არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ზოგიერთი ყორდანი ატმოსფერული ნალექებისა და დინამიური ძალების გავლენის გამო ძალიან იცვლიდა თავის სიღიდეს და ფორმას, რომლებიც დღეისათვის უმეტესად გვხვდება დეფორმირებული სახით, რაც, რასაკვირველია, პირველად მათ სიღიდეს არ გამოხატავს, – სინამდვილეში ჩვენ საქმე გვაქვს სახეშეცვლილ სამარხებთან.

ჩვენ შეგვიძლია ყორდანები აგრეთვე განვიხილოთ და განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ფორმის მიხედვით – ყორდანი შეიძლება იყოს: ა) წრიული ფორმის; ბ) ნახევარწრის სახის; ანდა – გ) ელიფსოიდის ფორმისა. ამას გარდა, ყორდანი შეიძლება იყოს ცილინდრულ-კონუსური ფორმისაც. აგრეთვე გვხვდება ყორდანების სხვადასხვა სახე ყორდანის სიმაღლის

წვეროს დაბოლოების ფორმის მხრივ, – შეიძლება იყოს:
1) პირამიდული ფორმის; 2) ნახევრად გადაჭრილი; და 3)
ბრტყელი.

ყორდანის წვერზე შესამჩნევი მოედანია, – აგრეთვე სრულად მოკვეთილი და მცირედ ამაღლებული. შემადგენელი მასალის მიხედვით, ყორდანები შეიძლება იყოს რიყის ქვით ან თლილი ქვით ნაგები და მიწაყრილით ავსებული.

ყორდანები ორგვარია ასევე თვით ნაგებობის მხრივ: ა) ზოგი ყორდანი მოკირწყლულია ზედაპირზე და თაღი აქვს გადაყვანილი; ყორდანს გარშემო, დედამიწის ზედაპირზე, დიდი, უზარმაზარი ლოდებისაგან შემოვლებული აქვს ლამაზად ნაგები სარტყელი, რომელიც რუსულ ლიტერატურაში იწოდება «Вал»-ად; ბ) ზოგჯერ ეს სარტყელი ან ყორე ყორდანს გარშემო მიშენებული აქვს რიყის დიდი ქვებით, რაც არსებულ ყორდანებს შორის უკვე გასარჩევია.

ყორდანები ერთმანეთისგან კიდევ განსხვავდება სამარხის ორმოს მიხედვით, რომელთაგანაც შეგვიძლია დავასახელოთ: 1) პირველი სახის ყორდანები წარმოადგენენ მხოლოდ დედამიწის ზედაპირზე დაშენებულ ან უბრალო ქვაყრილ, ანდა მიწაყრილ სამარხ ყორდანებს, რომლის ქვეშაც, დედამიწის წინანდელ ზედაპირზე მიცვალებული მოთავსებულია ქვის უჟოში ან ისევეა დასვენებული მიწის ფენაზე; 2) მეორე სახის ყორდანებს კი მიეკუთვნებიან ისეთი ყორდანები, როდესაც გათხრილია ცილინდრული ან ელიფსოიდური ფორმის სამარხის ორმო და მიცვალებული ამ ორმოს ძირზე, ნიადაგის ქვედა ფენაზეა დასაფლავებული, ყორდანის ორმოში კი, ზოგჯერ – ა) დიდი სამარხი ოთახისებურად არის ამოშენებული დიდი ლოდებით; ან – ბ) მიწის ფენას ფენობრივად მოსდევს ქვაფენილი – მოკირწყლული რიყის ქვის წყობა – ყორდანის ორმოდან დაწყებული, ყორდანის ზედაპირამდის. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რა დიამეტრისაა ყორდანის სამარხის ორმო.

ყორდანების გათხრების დაკვირვების შედეგად შეგვიძლია აღვნიშვნოთ, რომ ზოგიერთი ყორდანის სიღრმე, ორმოდან ზედაპირამდის, უდრის 10-15 მეტრს; მაგალითად: წალკაში,

„ბიუქ თეფეს“ ყორდანის სიდრმე, ყორდანის ზედაპირიდან სამარხის ორმოს ძირამდე, უდრიდა 12,5 მეტრს, რომელიც სულ მიწითა და ქვანაყარით მასიურად იყო ამოვსებული. ამ ყორდანის სიგრძე 120 მეტრი იყო, სიგანე კი – 60 მეტრი. ეს დიდი მოცულობის ყორდანი ექსპედიციის მიერ გათხრილი იქნა 1936 წელს, პროფესორ, არქეოლოგ ბ. ა. კუფტინის ხელმძღვანელობით. ასეთი დიდი ზომის ყორდანები, და უფრო უდიდესნიც, საქართველოში რამდენიმე ადგილას მოიძება, რომლებიც ჯერ კიდევ უცნობია არქეოლოგიისათვის და არ გამხდარა კვლევის ობიექტები.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ სხვა ძეგლებთან შედარებით ყორდანთა განხილვის შესახებ უფრო მეტად შევაჩერე მკითხველის ყურადღება, რადგან საჭიროა, ყოველმა დაინტერესებულმა პირმა მიქციოს ყურადღება იმ გარემოებას, რომ თავის სოფელში, დაბაში ან მხარეში არსებულ მინდორ ადგილებში მოიპოვება თუ არა ასეთი სახის ძეგლები და თუ მოიპოვება, მოახდინოს მათი ზოგადი შესწავლა და აღწერა, რითაც იგი უნდა იყოს დარწმუნებული, რომ მეცნიერებას მისცემს ძალიან დიდ და საინტერესო მასალას ახალ-ახალი არქეოლოგიური ძეგლის აღმოჩენის შესახებ, თუ ეს უძვირფასესი ობიექტები მოიპოვება იმ ტერიტორიაზე, სადაც იგი მოქმედებს და ცხოვრობს.

როგორ უნდა შევამჩნიოთ ყორდანების არსებობა არქეოლოგიურად შეუსწავლელ რაიონებსა და ადგილებში? უპირველესად, ჩვენ უნდა გვახსოვდეს და ვიცოდეთ ის გზა, ხერხები და მეორები, ელემენტარულად მაინც, რომელიც საჭიროა არქეოლოგიურ-ისტორიულ სიძეველეთა დასაზვერად და გამოსარკვევად. იმისათვის, რომ შევისწავლოთ ისტორიული ძეგლების ერთ-ერთი სახე სიძეველეებისა – ყორდანები, უნდა ვაწარმოოთ დაკვირვება შემდეგნაირად: ყორდანების არსებობის გარკვევისათვის და გამოცნობისათვის დამკვირვებელ-შემსწავლელმა ადვილად შესამჩნევ მოვაკებულ ადგილებში უნდა აწარმოოს გამოკვლევა, რადგანაც მთაგორიან ადგილებში რელიეფი თვით ბუნებრივად, ე. ი. გეოლოგიურად, ხშირად აშლილია, მაგალითად მიკროსინკლინების და ანტიკლინების გამო, ე. ი. აღრმავებულ-ჩაღრმავებული ადგი-

ლებისაგან რელიეფი ხშირად გორაკიანია, პატარა და საშუალო სიმაღლის ბორცვების სახით, რომელიც ბუნებრივი პირობების, დინამიური ძალებისაგან განიცდის მეტამორფიზმს, ანუ სახეშეცვლას დებულობს, რის გამოც ბუნებრივი ბორცვი გარეგნულად ბევრჯერ ყორდანის დამახასიათებელი ფორმის შოვალგვარ გარკვეულ მოთხოვნას აკმაყოფილებს, რასაც ზოგჯერ არქეოლოგი შეცდომაში შეჰქავს, თუ მან კარგად ვერ განსჭვრიტა ბუნებრივი ძალების გავლენა და ახლოს არ დგას გეოლოგიურ მეცნიერებასთან.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნავდით, რომ ადვილად გამოცნობის მიზნით (თუ გეოლოგიას არ ვიცნობთ) ყორდანები უნდა გეძიოთ ვაკე მინდვრებსა და სახნავ მიწებში, რადგანაც ასეთ ადგილებში მიწა სწორია და ყველგან დავაკებულია, სადაც შორიდანვე ადვილად შესამჩნევია ამაღლებული, ბორცვისებური ფორმის შემაღლება, რომელიც პირველადი სახის ზოგადი შესწავლის შედეგად შეგვიძლია მივიჩნიოთ სამარხი ყორდანის ტიპის ძეგლად.

ხშირად ყორდანი წრიული ან კვერცხისებურ-ელიფსოიდური ფორმის გარშემოწერილობას ატარებს ხოლმე, თუ იგი დაფორმირებული არ არის. აგრეთვე, ზოგჯერ ძალიან ადვილად შესამჩნევია დედამიწის ზედაპირიდან ამობურცული, თავისი ნაყარით ხშირად სოკოსებური მოყვანილობის ყორდანები, რომლებიც ხან რიყის ქვებითაა მოკირწყლული ზედაპირზე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხან კი, ზოგჯერ მიწანაყარითაა დატკეპნილი ზედაპირზე და დაყამირებულია. ხშირად ყორდანებზე ძეგვის ან სხვა მცენარეთა ბუქებია ამოსული, რაც ყორდანს იცავს გადარეცხვისა და დეფორმაციისაგან.

ხშირად ყორდანი დეფორმირებულია, ანუ მისი ფორმა ადარ ატარებს ისეთსავე სახეს, როგორიც ის იყო აგების დროს, მაგრამ ჩვენ, დაზვერვისა და შესწავლის დროს, მისი ნაყარის დარჩენილი ერთი ნახევარი ნაწილით ან მეოთხედი ნაწილისგან უნდა მოვხაზოთ მთლიანი ხაზი ყორდანის ზედა ფართისა, რადგანაც შეგვეძლოს სამარხის ორმოს ან თვით ყორდანის ფართის „დაჭერა“, რათა ყორდანის ცენტრალურ დასაფლავებას არ ავცდეთ და მოგუძებნოთ ყორდანს კიდური

კედლები, რის მოუძებნელობის შემთხვევაში დაგვრჩება ან ავცდებით ყორლანის გასათხრელი ნაწილის აღგილს.

დასასრულ, გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ასეთი ყორლანების მშენებლობას და ნაგებობას პქონდა თავისი გარკვეული არქიტექტურულ-ტექნიკური დონე და მიზანი, – მათი აგების დროისათვის და ეპოქისათვის.

ყორდანები, როგორც სამარხები, ახასიათებდათ გარკვეულ ტომებს და გარკვეულ ეპოქას. მათი აგება მოითხოვდა აურაცხელ მუშახელს, რომლებიც გულდასმით და მჭიდროდ აგებდნენ ასეთ მონუმენტურ სამარხს გვარის ან ოჯახის: ან რამდენიმე მიცვალებული წევრისთვის, ან, ბოლოს, საპატივსაცემო მიცვალებული პირისათვის, როგორიც უძველესად იყვნენ: გვარის უფროსი, ქურუმი, სარდალი ან რომელიმე გმირი, რომელთა „კეთილგანწყობის“, „სიმპატიების“ და პატივისცემის გამო მათი სამარხის ანუ „მუდმივი სამყოფელის“ აგებას ახმარდნენ თავის შრომასა და ნიჭს დიდი მონდომებითა და კრძალვით. როდესაც ასეთი წარჩინებული პირი გარდაიცვლებოდა, მისი მონები ვალდებული იყვნენ ხელოსნებთან ერთად აეგოთ დირშესანიშნავი, მონუმენტური სამარხი, რომელიც მუდმივად შესამჩნევი იქნებოდა დროთა განმავლობაში და არ წარიშლებოდა დედამიწაზე, ჟამთავითარების მიუხედავად. სწორედ ამიტომ, დღეისათვის ჩვენ გვხვდება სხვადასხვაზომის ყორლანები, რაც გამოწვეული უნდა იყოს იმით, თუ ვინ, რა მოსაქმეობის ადამიანი არის დასაფლავებული ამათუ იმ ყორდანში.

საჭიროა ზუსტად იქნეს შესწავლილი ყორდანების სიდიდები, ფორმები და ზომები, რათა მომავალში, როცა საქართველოში დაგროვდება მასალები ყორდანების შესახებ, აღვილი შეიქნეს მათი შედარება და გარკვევა, წინასწარვე, დეტალურ შესწავლა-გამოკვლევამდეც კი, თუ რა სახის და ჯგუფის ყორდანთან გვაქვს საქმე.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ ყორდანთა არქეოლოგიური შესწავლის დროს, გათხრების ჩატარების შემდეგ ვსწავლობთ და ვარკვევთ, თუ ვის ეკუთვნოდა ეს ყორდანი, – რომელ

სალხეს და კულტურის განვითარების რა დონეზე იდგა ის ხალხი, რომელთაც ეკუთვნოდათ ეს ყორდანები. ამასთანავე, შესაძლებელია გამორკვეულ იქნეს მაშინდელ ტომთა ზეგჩვეულებანი და დამარხვის წესები. ყორდანებში აღმოჩნდილი მასალებითვე შესაძლებელია გამორკვეული იქნეს მაშინდელი ლითონების დამუშავების ტექნიკა და „ინდუსტრია“, თუ ამ უკანასკნელის ნიმუშები აღმოჩნდება ყორდანებში ნივთების ან იარაღის სახით; აგრეთვე ვარკვევთ კერამიკისა და მეჭურჭლეობის ტექნიკას და განვითარების დონეს. ყორდანშივე შესაძლებელია აღმოჩნდილი იქნეს რომელიმე ტომის ან გვარის დამწერლობის ნიმუშები. ყოველი ეს აღმოჩნდა ახალ მასალას წარმოადგენს მეცნიერებისათვის და ჩვენი საზოგადოებრიობისათვის.

ამ სამარხების საშუალებით, არქეოლოგიას ანთროპოლოგიის დახმარების მოშველიებით – ჩონჩხის და თავის ქალას განზომილებათა შესწავლის ნიადაგზე – შეუძლია გამოარკვიოს, თუ რომელი ტომები მოსახლეობდნენ იმ პერიოდში, რომელ ხანასაც ეკუთვნიან ყორდანები.

არქეოლოგია ყორდანების შესწავლის ნიადაგზე დაადგენს ამა თუ იმ ტომთა მოსახლეობის და კულტურის გავრცელების საზღვრებს, მათ ურთიერთკავშირს, ვაჭრობისა და მიმოსვლის საშუალებებს და მათ ურთიერთდამოკიდებულებას.

ყორდანები, როგორც სამარხები, ცნობილია – „...Еще в родовом обществе, в эпохе меди и бронзы, т.е. за 2-3 тысячелетия до начала христианского летоисчисления. Этот способ окончательно исчезает у нас в XIII-XIV вв., заменяясь кладбищами современного типа“ (Бадер, «По следам наших первобытных предков», ст. 26). აქ კი ჩვენ შეგვიძლია დავამატოთ, რომ ყორდანების ნაგებობებმა ჩვენამდე მოადწიეს. ამიტომ უფრო საინტერესოა შევისწავლოთ ჩვენს მხარეებში თუ მოიპოვება ყორდანები, რომლებიც /მათი გამოვლენის შემდგომ/ გადაიქცევიან პკლევის ობიექტებად.

დღეისათვის არქეოლოგიური შესწავლის შედეგად გამოვლინდა დიდი ისტორიული მნიშვნელობის ძეგლები. ასეთ ძეგლებს განეკუთვნება კოლხეთის ყორდანები, რომლებიც

1934 წლამდე უცნობი იყო მეცნიერებისათვის. სოფ. ქვალონთან ახლოს ჩატარდა „ნაოხვამუს“ არქეოლოგიური გათხრები არქეოლოგ სერგი მაკალათიას ხელმძღვანელობით, რის შედეგადაც გამოიკვა, რომ ყორდანში იყო ხის ნაგებობა, რომელიც მცენარის ყლორტებით იყო დახურული, სადაც აურაცხელი წაბლი იყო შენახული. ყორდანმა, არქეოლოგიური გათხრებით, მეცნიერებას მისცა კერამიკული წარმოების მდიდარი ნიმუშები, ე. წ. „მოპრიალებული კერამიკის“ ჭურჭელი.

2. ნალკაში აღმოჩენილი ყორდანები

1936 წელს, საქართველოს ცაკ.-თან არსებული სიძველეთა დაცვის კომიტეტის და ხრამჭესის დირექციის მიერ, მოეწყო არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფესორი ბორის ალექსის ძე კუჭტინი. არქეოლოგიურმა ექსპედიციამ წინასწარი დაზვერვის შედეგად შეისწავლა წალკის არქეოლოგიური ძეგლები, რის შემდეგაც შეუდგა სხვადასხვა ძეგლების არქეოლოგიურ გათხრებს იმ ტერიტორიაზე, სადაც, ხრამჭესის ელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით, წყლით დაიფარებოდა 60 კვ. კილომეტრი ფართობი. არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სხვა ძეგლებს შორის, სხვადასხვა აღგილებში გათხარა ყორდანები, რითაც მდიდარი მასალა შესძინა მეცნიერებას არქეოლოგიურად ჯერ სრულიად უცნობი და შეუსწავლელი რაიონის შესახებ. იქ აღმოჩენილი განათხარი მასალები შექს ჰყენენ არა მარტო წალკის მხარის წარსულ ისტორიას, არამედ მიგვითოთებენ საქართველოში უძლიერესი კულტურის კერის არსებობაზე იმ ხანაში, სანამ ძლიერ სახელმწიფოდ შეიქმნებოდა „ქალდეის სამყარო“. ამ ნივთების აღმოჩენით მტკიცდება, რომ საქართველო იმ დროს მჭიდროდ იყო დაკავშირებული ძველი აღმოსავლეთის დიდი კულტურის მქონე ქვეყნებთან, სახელმძღვანელობრ ხეთის მძლავრ სახელმწიფოსთან.

1936 წელს წალკაში 9 ადგილას აღრიცხული იყო შემდეგი სახელმწოდებით ცნობილი ყორდანები:

1. „ბიუქ-თეფე“ („დიდი გორა“);
2. „ქუჩუპ-თაფა“ („პატარა გორაკა“), მის გვერდით მდებარე სოფ. სანომერის მახლობლად;
3. სოფ. შეპიაკთან – „ბიუქ გონც“ („დიდი ბორცვი“);
4. სოფ. შეპიაკის მახლობლად – „ქუჩუპ გონც“ („პატარა ბორცვი“);
5. „კორუქ დაშ“ – სოფ. სანომერის და სოფ. შეპიაკის შორის;
6. „აპოსტოლუნ თაფასი“ („მოციქულთა გორაკები“) – იქვე ახლოს მდებარე;
7. „კარახეტინი“ – იგი სოფ. სანომერსა და სოფ. წინწყაროს შორის მდებარეობს. მისი სახელი სიტყვა „კარანტინი“-სგან არის წარმომდგარი და ისეა გავრცელებული ხალხში;
8. სოფ. სანთასა და ყორლან „ბიუქ თეფეს“ შორის მდებარე ყორდანი – საკმაოდ დაცული და წრისებური გარშემოწერილობის მქონე;
9. სანთას ტბის მახლობლად მდებარე, ქვის დიდი ლოდგბი-საგან (ციკლოპური ტიპის) ნაგები ყორლანი, რომელიც ცალკეული კამერებისაგან შედგებოდა.

ზემოთ ჩამოთვლილი ყორდანებიდან 1936 წელს წალკის რაიონში გაითხარა შემდეგი ყორლანები:

1. ყორლანი „ბიუქ-თეფე“;
2. ყორდანი „ქუჩუპ-თაფა“;
3. სანთას ტბის პირას მდებარე, ლოდებით ნაგები ყორლანი;
4. ერთი ასეთივე სახის ყორდანი შიგ სოფელ სანთაში – ჩრდილოეთი, ციკლოპური ნაგებობის ციხის თხემის ძირს, რომელიც გამოირკვა, რომ სრულიად გაძარცული იყო ოქროსმაძიებელთა მიერ.

ამ ყორლანების გარდა, ზემოხსენებულმა ექსპედიციამ პროფ. ბ. ა. კუფტინის ხელმძღვანელობით ყველა დარჩენილი გაუთხრებით ყორდანები გათხარა შემდეგ მომდევნო ორ წელს, 1937–38 წწ. და კიდევ აწარმოა დაზვერვა სხვა ყორლანების

აღმოსაჩენად, რამაც დადებითი შედეგი გამოიდო და ექსპე-
დიციამ გათხარა კიდევ რამდენიმე ყორდანი. წელსაც, 1939
წ. გადაწყვეტილია, რომ ექსპედიცია განაგრძობს გათხებს
სსენებულ რაიონში, უფრო დეტალურად შესწავლის მიზნით,
რათა არ იქნეს დარჩენილი შეუსწავლელი ის ძეგლები,
რომლებიც მომავალში დაიფარება წყლით, რადგან ამ ად-
გილზე უნდა წარმოიშვას ხელოვნურად დაგუბებული ტბა, –
წყალსაცავი ელექტროსადგურისათვის.

3. ქართლში ახლა აღმოჩენილი ყორდანები

ზემოთ დასახელებული ყორდანების გარდა, საქართვე-
ლოში სხვა ყორდანების არსებობა უცნობი იყო სპეციალისტთა
შორის და ლიტერატურაში.

1937–38 წლებში ამ წერილის ავტორის მიერ პირველად
იქნა მონახული და შესწავლილი ქართლის ტერიტორიაზე
სხვადასხვა სახის და ტიპის ყორდანები. ქართლში ყორდანების
არსებობას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს და, კერ-
ძოდ, ქართლის უძველესი ისტორიის შესწავლის საქმეში.
ახლა აღმოჩენილი ქართლის ყორდანები გასდევს მდ. პატარა
და დიდი ლიახვის ხეობას, რომელიც უძველესი გზა იყო
ქართლიდან ჩრდილოეთისაკენ. ყორდანების ეს სისტემა იწყე-
ბა სოფ. კარალეთის თავიდან და ლიახვის ხეობას გასდევს
მდინარის სათავეებამდე – მთებამდე.

ამ მხარის მოსახლეობაში გავრცელებული იყო აზრი, რომ
თითქოს ეს ყორდანები არის უბრალო „ქვის ნაყრები“ და
უწოდებენ: „ძველ მაღლებს“, „გოხებს“, „გორაკებს“; მათი სი-
დიდის მიხედვით კი ხალხს შორის გავრცელებულია გან-
მასხვებები სახელწოდება: „დიდი“ ან „პატარა“ გორაკა,
ან პირდაპირ – სიტყვა „გორაკა“; ცალკეული ყორდანების
ერთად შემაღლებულ ჯგუფს კი – „თამარ მეფის ცხენის
ნაქუსლავებს“ ან კიდევ, „თამარ მეფის ჯარის ნატალახევს“
უწოდებენ.

გ. ბანთაშვილის ცნობით, სოფელ ქვემო ჭალის მახლო-
ბლად არის „გორაკები“, სადაც მათ ახლოს გაშენებულია

სოფელი, რომელსაც ადგილობრივ „დიდ გორაკის“ გამო ქახიან „გორაკას“ (კასპის რაიონი, სოფ. გორაკა).

ოსთა შორის ყორდანების ანუ „გორაკების“ სახელწოდება შემდეგნაირადაა ცნობილი: ასეთ ამაღლებულ „ბორცობებს“ უწოდებენ „ჟუჟოა-კუბუთა“, რაც ქართულად ნიშნავს „მაღალ-დაბლობს“; ოსები ყორდანებს აგრეთვე უქახიან „გორა“-ს ან პირდაპირ – „შანთა“-ს, რაც ქართულად ნიშნავს „ბორცვს“, მაგ. – სოფ. კროზის (ჯავის რაიონი) მცხოვრებთა შორის ცნობილია ყორდანების შემდეგი სახელწოდებანი: „პაპუნა შანთა“, „კოდახ-ჯინ შანთა“ („ჯირკვნარი ბორცვი“), „აღსარჯინ შანთა“ („მუხნარი ბორცვი“), „როინ ყაუბელ“, „შაგატოა“, „ზანგთა“, „ყუგომ შანთა“ („მინდვრის ბორცვი“) და სხვა სახელწოდების ყორდანები; ე. ი. ოსები ბორცვს უწოდებენ „შანთა“-ს, რომელსაც უმატებენ იმ სახელს, რანაირი მახასიათებელითაც სხვა ბორცვისგან გამოირჩევა ესა თუ ის ყორდანი.

ქართლის ყორდანებიდან ჩვენთვის ცნობილია ჩვენამდე თავისით – დაცული სახით – მოღწეული შემდეგი დამახასიათებელი ყორდანები:

სოფ. კარალეთში /გორის რაიონი, 7 კმ ქ. გორიდან/, შიგ შუაგულ სოფელში, წყაროს მახლობლად არის ყორდანი, დიდი მოცულობისა, რომელზეც დაშენებულია შენობა, სადაც დღეს მოთავსებულია სოფლის ათწლევი სკოლა. ეს ყორდანი ელიფსოიდის ფორმისაა და გაგრძელებულია ჩრდილო-სამხრეთის მიმართულებით. მისი სიმაღლე დაახლოებით უდრის 6 მეტრს, დედამიწის ზედაპირიდან ყორდანის წვერამდის; სიგრძე კი 120 მეტრს უდრის – მიახლოებით. ყორდანს წვერი მოკვეთილი აქვს, სადაც მოვაკებულ მოედანზე ადგილობრივი მებატონის, მიხეილ ერისთავის მიერ დაშენებული იქნა ერთ-სართულიანი შენობა. ყორდანის მახლობლად არის კოშკის ნანგრევი, რომელიც ამ ფეოდალს ჰკუთვნებია. ყორდანზე ჩემ მიერ მოკრებილი იქნა ზედაპირული მასალა, რომელთაგანაც საყურადღებოა ძველი, დამტვრეული ჭურჭლის მოპრიალებული კერამიკის ნატეხები, რაც ადასტურებს და მიგვითოებს, რომ ეს ბორცვი უნდა იყოს სამარხისათვის მოწყობილი და დაყრილი. აგრეთვე საინტერესოა ის მოვლენა,

რომ მოწაფეები აქ სშირად პოულობენ მძივებს და სხვადასხვა ცხოველების გამომსახველ, ბრინჯაოსაგან დამზადებულ მცირე ქანდაკებებს, რაც მოწაფეებს შორის ვერ ვნახე – უკვე გადაეყარათ, რადგან მშობლებს უთქვიათ: „გადაეყარეთ, თორემ თილისმაა იქ, ბატონიანთ გორაკზე ჩამარხული“. ასე რომ ამ ძვირფას აღმოჩენათა კვალს ჩვენ ვერ მივაგენით.

ყორდანები კარალეთის ტერიტორიაზე აგრეთვე ცნობილია სოფლიდან ჩრდილოეთით, 1 კმ-ის დაშორებით – გორი–სტალინირის² შოსე გზის მახლობლად. აქ „პატარა გორაკების“ მიწაში არის დეფორმირებული ყორდანი, რომელიც შეუაში ჩაღრმავებულია, რაც მიუთითებს, რომ ეს ყორდანი გაძარცული უნდა იყოს განძმაძიებელთა მიერ წარსულში. ეს „გორაკა“, ანუ ყორდანი, მდებარეობს ბოგირის მახლობლად, გარდიგარდმო, შოსე გზიდან 40 მეტრის დაშორებით, სარწყავ რუ „პატარა გარეჯულას“ მარცხნივ. ყორდანის სამხრეთით, სარწყავი რუს მარჯვენა მხარეს გაშენებულია კოლექტივის ვენახი, ჩრდილოეთით კი სახნავი მიწებია სოფ. ძევერამდის.

ყორდანი „დიდი გორაკა“ მდებარეობს შოსე გზის მარცხნივ, მდ. ჭარებულას მახლობლად, სახნავ მიწებში. ყორდანი გარშემო შემოხნულია და შეუა ადგილას, ერთი მეტრის სიღრმეზე ორგან ჩათხრილია. სოფ. კარალეთში მცხოვრები კოლმეურნე სტეფანე გიორგის ძე ხარიბეგაშვილის ცნობით, მისი მამის გადმოცემით ახსოვს, რომ: „სოფლის ბატონს, მოხეილ ერისთავს დაუყენებია გლეხები ბეგარაზე და გაუთხრევინებია ეს გორაკა ზედაპირზე, სადაც უნახიათ სხვადასხვა ზომის ქილები და ბრინჯაოს სამკაულები. თავადს როცა უნახავს, რომ სამკაულები ოქროსი არ აღმოჩნდა, ხალხისთვის უთქამს, რომ გათხრისათვის თავი დაენებათ; გლეხებსაც ისევ დაუტოვიათ და აღარ გაუთხრიათ“. ეს გორაკა მდებარეობს „გორაკების მიწაში“, სოფლიდან ჩრდილო-დასავლეთით. ყორდანის სიმაღლეა 2 მ, ხოლო ფართის სიგრძე – 30 მ.

ყორდან „დიდი გორაკას“ მახლობლად მდებარეობს „დაბალ-გორა“ – „მალოქების მიწაში“, რომლის მიმართებით კიდევ არის „დაბალი გორაკა“, რომელიც შემოხნული და

2 ქ. ცხინვალის სახელწოდება 1934 წლიდან 1964 წლამდე.

დადაბლებულია, რომელზედაც ამოსულია ძეგვი.

ამ ყორდანების გაყოლებით, მოპირდაპირე ხაზზე, სოფ. ძევერის მიწებში მდებარეობს რამდენიმე ყორდანი, რომლებიც ესაზღვრება სოფ. ქიშნისის მიწებში არსებულ ყორდანებს.

აღსანიშნავია ერთადერთი ყორდანი ქიშნისის საბჭოთა მეურნეობის ბოლოში, სოფ. სათემოს მახლობლად, რომელიც საკმარის დაცულია და ხელშეუხებელია.

შემდეგი ჯგუფის ყორდანები შეგვიძლია დავასახელოთ სოფ. შერთულსა და სოფ. მარანას მახლობლად, მამულებსა და მინდვრებში, რომლებიც გაფანტული სახით გვხვდება. ეს ყორდანები მიეკუთვნება წრიული ფორმის ყორდანებს, რომლებიც მიწანაურით არიან ამობურცული დედამიწის ზედაპირზე. ამათგან გამონაკლისს წარმოადგენს სოფ. ძევერის გზის მახლობლად არსებული ყორდანი, რომელიც ქვანაური ყორდანის ტიპს ეკუთვნის.

სოფ. ტყვიავის და შერთულს შორის, „ძუნძულიანის“ მახლობლად, „კვირაცხოვლის“ მინდორში არის ექვსი ყორდანი, რომლებიც ამდიდრებენ და ავსებენ ამ მხარის ყორდანთა რიცხობრივობას.

ყორდანები აგრეთვე გვხვდება სოფ. ტირძნისში, რომელიც მდებარეობს მდინარე პატარა ლიახვის მარჯვენა მხარეს. აქ, ბატონ სულხანიშვილის „ხოდაბუნებში“ არის ორი ყორდანი – „დიდ“ და „პატარა“ გორაკად წოდებული.

სოფ. მეჯვრისხევში, მისი სამხრეთი გზის პირზე, რომელ გზასაც შემდეგ მარცხნივ ჩამოუდის მდ. მეჯუდა, გზიდან მარჯვენა, აღმოსავლეთით, 20 მეტრის მანძილზე არის „გორაკა“ – ყორდანი, სიმაღლით 3 მ-ის.

ყორდანები ამ მხარეში გხვდება ბევრგან, თითქმის ყველა სოფლის მიდამოებში, რომელთაგანაც დავასახელებთ შემდეგი მიმდევრობით – მდინარის ქვედა წელიდან ზემოთ, ლიახვის ხეობაში აღსანიშნავია: კარალეთის ყორდანების ადგილები; გარდა ამ ყორდანებისა, კიდევ არის ძევერის და ტყვიავის დიდი სისტემის სამარხები, რამოდენიმე სახისა; სოფ. ტყვიავის შემდეგ ყველაზე მრავალრიცხოვან ყორდანების სახით

არის სოფ. კარბის ყორდანები, რომლებიც წარმოადგენენ სხვადასხვა ფორმისა და სახის ყორდანებს. ეს ყორდანები გასდევს მდ. პატარა ლიახვის მიდამოებს და თავად ქმნიან ერთ, გაერთიანებულ „ყორდანთა სისტემას“.

ასევე არის ყორდანთა მეორე სისტემა, რომელიც გვხვდება მდინარე დიდი ლიახვის ხეობაში არსებული სოფლების ვენახებსა და მინდვრებში, მდინარე დიდი ლიახვის ორთავე მხარის მინდვრებში: სოფ. ბროწლეთში, „სამარილევების“ მინდვრებში, ახლად გაშენებულ ბაღში გვხვდება ყორდანი, სიმაღლით 1 მეტრი ნაყარის და დიამეტრით 20 მეტრის ქანაყარი ყორდანი – „სურამლიანთ გორას“ სახელწოდებით; სოფ. მელერეგისში არის „წოწოლა ქების“ ყორდანები, რომლებიც მდებარეობენ სოფლის გამოღმა, მდ. დიდ ლიახვთან; ქ. სტალინირი – აქაც შეგვიძლია დაგასახელოთ რამოდენიმე ყორდანი მის მიდამოებში, მაგალითად: სოფ. ზემო ნიქოზში არის ყორდანები „ნაცარ-გორების“ სახელწოდებით ცნობილი, სადაც გლეხები პოულობენ სამკაულებს და სხვადასხვა უგვევეს ნივთებს; ყორდანები აგრეთვე არის სოფ. ტბეთის მახლობლად; იმავე ხაზზე, „ნაცარ-გორების“ ყორდანების საპირისპიროდ, ქვასათალის მახლობლად არის ყორდანი „გორ-კა-ფარე“, სადაც ირინე ცხოვრებაშვილმა, წვიმის ნიაღვრების შემდეგ, ყორდანის დახრამულ მიწაში ნახა ბრინჯაოს ხანჯალი და ირმის გამოსახულება, აგრეთვე თიხის ჭურჭელი. ეს ყორდანი ელიფსიონის ფორმისაა და მის ზედაპირზე ჩვენ ვამჩნევთ ჩაღრმავებულ ორმოებს, რომელიც შეგვიძლია ვიფიქროთ და მსჯელობის შედეგად შეიძლება მივაკუთვნოთ ორმოსებურ, ცალკეულ სექტორისებურ სამარხ ყორდანების ტიპს. ეს სამარხი მეტად საინტერესოა იქ შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლებით და ეს გარემოება გვაძლევს საშუალებას წარმოდგენა ვიქონიოთ მისი კულტურის დონეზე.

მდ. პატარა ლიახვის ხეობაში ჩვენ ვიცით ყველაზე ტიპიური ყორდანები სამ ადგილას: კარალეთის, ტყვიავის და კარბის სამარხები.

გორის რაიონიდან აგრეთვე საინტერესოა სოფ. ქვემო რი-

ეთის ყორდანი, კურტანიძის შენობის გვერდით, სადაც აღმოჩნდა უძველესი ნივთები. ეს ყორდანი აგრეთვე მოგვაგონებს ქვასათალის ყორდანის ტიპს – თავისი ორმოსებური, ცალკეული კამერებით.

ყორდანების არსებობა შეგვიძლია დავასახელოთ სხვაგანაც:

გორის რაიონის სოფ. სასირეთში³, სადაც ხვნის დროს ყორდანიდან აღმოჩნდილი იქნა ლითონის (ბრინჯაოს) სინი და ქვაბი, – ორნამენტირებული.

ლენინგორის⁴ რაიონის სოფ. მონასტრის „თედოწმინდის“ ეკლესია დაშენებულია ზედ ყორდანზე, სადაც საფლავებისათვის მიწის გათხრის დროს, გლეხების ნამბობით, ნაპოვნი იქნა მძივები, სამაჯურები და შავ ფერად შეჭვარტლული ჭურჭელი, რომლებიც წარმოშობის მიხედვით უნდა იყოს ძველი ჭურჭელი. ამდენად, აქ საქმე გვაქვს ყორდანისებურ სამართან, რაც დასტურდება, მისი გარეგანი ფორმისა და მოყვანილობის გარდა, იქ აღმოჩნდილი უძველესი პერიოდის კერამიკისა და სხვა საგანთა სახით.

სოფ. ქსანსა და სოფ. ხანდაკს შორის, ციხესოან, მდ. მტკვრის პირას არის სამი ყორდანისებური ამაღლება, რომლებიც უნდა იყოს მიწანაყარი ყორდანები. თავისი ფორმით ისინი წრიული სახისაა.

რკინიგზის სადგურ კავთისხევთან ყორდანები გვხვდება თვით სადგურის მახლობლად, მარცხნივ – მდინარესთან.

ჩვენ შეგვიძლია, რომ კიდევ დავასახელოთ ქართლში ჩვენს მიერ აღმოჩნდილი სხვა ყორდანებიც, მაგრამ ესეც საკმარისია.

ქართლში ყორდანების ასეთი სიმრავლე გამოწვეულია იმიტომ, რომ აქ მოსახლეობა მჭიდროდ იყო დასახლებული დიდი და პატარა ლიახვის ხეობაში და ისინი აგებდნენ ასეთ მონუმენტურ სამარხებს გვარის უფროსის, ქურუმის ან სარდლისათვის, რაც კიდევაც გვიდასტურებს იმ აზრს, რომ ძვე-

3 1939 წელს სოფ. სასირეთი ახლადშექმნილ ქარელის რაიონს მიაკუთვნეს.

4. ქ. ახალგორის სახელწოდება 1934 წლიდან 1991 წლამდე.

ლად, აქ დასახლებულ ხალხს დიდი შიში და მოკრძალება ჰქონიათ თავიანთი გვარის უფროსებისა და ქურუმებისა, რის შესატყვისსაც ჩვენ, აქ, მდ. პატარა და დიდი ლიახვის ხეობაში ყორდანების ასეთი სიმრავლეში ვხედავთ.

ამ ყორდანების შესწავლის შედეგად ჩვენ შეგვიძლია შევისწავლოთ და გამოვარკვიოთ, თუ სად მოსახლეობად მაშინდელი ქართლის მოსახლეობა: ისინი უპირველესად სახლდებოდნენ მდ. პატარა და დიდი ლიახვის ნაპირებზე, რადგანაც, ერთი მხრივ, მდინარის საშუალებით მიწის ხელოვნურ რწყვას მისდევდნენ, რომ თავის საკვებად უხვი მოსავალი მოეყვანათ; ამიტომ, სარწყავი წყალი რომ ჰქონოდათ, სახლდებოდნენ სწორედ მდინარის პირას, რათა არ ყოფილიყვნენ ბუნების შემყურენი, – თუ როდის მოვიდოდა წვიმა; მეორე მხრივ, ადამიანის ცხოვრების ხელშემწყობი იყო გზის არსებობა და იმდროინდელ აქაურ მოსახლეობას ადგილად შეეძლო ემოგზაურა მეზობელ კუთხეებსა და მხარეებში, რადგანაც მდინარე ლიახვის პირას გადიოდა გზა, რომლითაც მთელი ქართლი დაკავშირებული იყო ჩრდილოეთთან ამ გზის საშუალებით.

ახლა, ამ მოკლე ექსკურსის შემდეგ, ნება მომეცით გადავიდე თვით ყორდან „ხარის გორა“-ს ჩვენს არქეოლოგიურ გათხრებზე სოფ. ტყვიავში და მის შედეგებზე.

4. ტყვიავის „ძველ გაღლების“ ყორდანები და მათი აღმოჩენის ისტორია

დღემდე უცნობი იყო ქართლში, და თვით სოფ. ტყვიავში, ყორდანების არსებობა, რასაც ჩვენ მოკლედ შევეხეთ ზემოთ, ახლა აღმოჩნილი ქართლის ყორდანების საერთო განხილვისას.

საჭიროდ ვთვლი, ჩემი მხრივ, ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ ამ ყორდანების აღმოჩნიის საქმეში მონაწილეობა მიუძღვის ისტორიის ჩვენს სამეცნიერო წრეს, რადგანაც ამ მოხსენების ავტორს ჩვენი წრისგან მქონდა აღებული ვალდებულება აღმომეჩინა ქართლში უძველესი სამარხები ყორდანების სახით, წალკის რაიონში არსებული ყორდანების

კვალობაზე, სადაც ჩვენ პირველად შევისწავლეთ ყორდანები და გმუშმაობდი არქეოლოგიურ ექსპედიციაში 1936 წელს.

უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ თავზე აღებული ვალდებულება შევასრულეთ და გავამართლეთ დაპირება, რომ ქართლში მოგნახვდით ყორდანებს. ეს დავალება შევასრულეთ 2 თვის ჩვენი მუშაობის შედეგად, თავადაც მივიღეთ მონაწილეობა პატივცემულ, დამსახურებულ პედაგოგ და აღმზრდელთან, მეცნ. ღოცენტ, ეთნოგრაფ-ისტორიკოს სერგი მაკალათიასთან ერთად ტყვიავის არქეოლოგიურ ექსპედიციაში – ყორდან „ხარის გორას“ გათხრებში.

პირველად ჩვენ ვაცნობეთ ამ ყორდანების არსებობა პატ. დოც. სერგი მაკალათიას, რომელიც დაინტერესებით გამოიხმაურა ამ არქეოლოგიური ძეგლების აღმოჩენებს და წამოგვჭვა მათ დასადასტურებლად, სადაც ხელმეორადი დაზვერვის შემდეგ პატ. სერგი მაკალათიასაგანაც დადასტურებულ და მიჩნეულ იქნა ყორდანებად, რომელთა შორისაც, „ძველ მაღლების“ ყორდანთა ჯგუფიდან, ჩვენი კომისიის მიერ გასათხრელად არჩეული იქნა ყორდანი „ხარის გორა“, რომელიც უფრო დაცული იყო და არ იყო დეფორმირებული.

ამის შემდეგ ორგანიზირებული იქნა არქეოლოგიური ექსპედიცია, მოწყობილი საქართველოს ხელოვნების სამმართველოსთან არსებულ სიძველეთა დაცვის და კულტურის განყოფილებისა და გორის სამსარეთმცოდნეო მუზეუმიდან.

„ხარის გორა“ სხვა ყორდანებთან შედარებით არის საშუალო ზომის (19 მეტრი დამეტრით), ხელუხლებელი და კარგად დაცული. ეს ყორდანი – „ხარის გორა“ მდებარეობს გორი-სტალინირის შოსე გზაზე და მდ. პატარა ლიახვის მარცხენა ნაპირას.

ექსპედიციამ ყორდანის გათხრა დაიწყო 19 ივლისს და გასტანა 1 სექტემბრამდე /1938/. ამ გათხრის პროცესში ადგილი ჰქონდა საყურადღებო აღმოჩენებს: ყორდანის ზედაპირზე ჩნდებოდა რკინის და ბრინჯაოს იარაღები და სამკაული, განსაკუთრებით მრავალი იყო ობსიდიანის და კაჟის იარაღები და სხვა. ყორდანის ზედაპირის ნაგებობა აღმოჩნდა რიყის დიდი ქვებისაგან ნაგები. ნაგებობა იყო მჭიდრო და მოკირწყ-

ლული. ქვის ნაგებობის სიმაღლე აღწევდა 1,10 მ-ს დედამიწის ზედაპირიდან. ამ ნაგებობის აღების დროს აღმოჩნდა მთავარი დასაფლავება: ცენტრთან, ქვებს შორის მიცვალებული იყო მოკრუნებულად მწოლარე, თავთან ედგა თიხის ორი ჯამი და ხელში ეჭირა კაჟის ისრისწვერი. ამ მთავარი დასაფლავების ქვეშ, ყორდანის ქვეშ დაიწყო სხვა დასაფლავებათა აღმოჩენები.

ყორდანის ორმოში, მეორე იარუსზე (ზემოდან ქვემოთ) აღმოჩნდა 7 დასაფლავება და ერთ-ერთ ჩონჩხთან აღმოჩენილი იქნა არაბული ფული, დათარიღებული პიჯრით – 124 წ., ჩვენი დროით – 741 წელი. მესამე იარუსზე აღმოჩნდა 12 დასაფლავება. მეოთხე იარუსზე, ყორდანის დადაქანზე აღმოჩნდა უფრო მრავალრიცხვანი დასაფლავებანი. საყურადღებოა, რომ ამ დასაფლავებათა შორის არის დასაფლავების ნარევი წესები: არის წარმართული (მოკრუნებული) და ქრისტიანული – ზურგზე მწოლარე. სამარხში აღმოჩნდა რამდენიმე ბავშვის თავის ქალა. ყურადღებას იქცევს მიცვალებულების ხელების დაკრეფის სხვადასხვა ფორმები და წესები.

საკითხის წამოყენება, თუ რომელ ტომს ეკუთვნის ეს ყორდანისებური სამარხები, ჩვენ მიგვაჩნია ნაადრევად, სანამ არ გაითხრება ლიახვის ხეობაში მდებარე სხვა სამარხები, რომლებიც ჩვენ მოგვცემენ ნათელ სურათს ამ ყორდანების ნაგებობების სისტემისა და დასაფლავების წესების შესახებ. ექსპედიციას განზრახული აქვს დაწყებული საქმე განაგრძოს გათხრების ფართო მასშტაბით და ახლო მომავალში განზრახულია გაითხაროს ყორდან „ხარის გორას“ მახლობელ მიდამოებში არსებული ყორდანები.

ყველა აღმოჩენილი ექსპონატი და ამოჭრილი სამარხები ექსპედიციის მიერ გადაცემული იქნა გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისადმი, სადაც რამდენიმე ხნის შემდეგ გამოვენილი იქნება ზემოსხენებული მასალები, დამუშავებული ექსპედიციის ხელმძღვანელის, მეცნ. დოც. ს. ი. მაკალათიას ხელმძღვანელობით.

ს. ი. ნადიმაშვილი

27. II. 1939 წ.

ს. ი. ნადიმაშვილი

1939 წლის საველე არქეოლოგიური ძიებაზის შედეგები

არქეოლოგიური დაზვრვები

გდ. ფრონეს ხეობაში

გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქეოლოგიური განკუთვილების მასალების გამდიდრების მიზნით და ქართლ-ში არქეოლოგიური ძეგლების აღმოსახენად და შესასწავლად, 1939 წლის 24 სექტემბერს გავემგზავრე მდ. ფრონეს ხეობაში, ასევე ვიყავი მიმდებარე რაიონებში. წინასწარი არქეოლოგიური შესწავლითი დაზვერვა ვაწარმოეთ მთელ რიგ ადგილებში, რის შედეგად ჩვენს მიერ მოძებნილი იქნა არქეოლოგიური კულტურის ისეთი ახალი კერძები, რომელთაც დიდი შეფასება მოელით მეცნიერებისგან, იქ მოპოვებული მასალებით, თუ ქვემოთ აღნიშნულ ადგილებში მომავალში ჩატარდება არქეოლოგიური გათხრები. შეგვიძლია წინასწარვე გაბეჭულად ვთქათ, რომ ჩვენ მიერ აღმოჩენილ უძველეს სასაფლაოს, რომელიც მდებარეობს მდ. ფრონეს ხეობაში, სოფ. დვანის მახლობლად⁵, სოფლიდან 1 კმ-ის დაშორებით, უაღრესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ადრინდელი ისტორიის შესასწავლად, თუ რა კულტურის მქონე ხალხი მოსახლეობდა ძველად ამ ხეობაში და როგორი ეკონომიკური მეურნეობით იყო დაწინაურებული ეს რაიონი იმ ხანაში. აგრეთვე შეგვიძლია დავამატოთ ის, რომ სოფ. დვანის უძველეს სამარხებში უკვე აღმოჩენილი მასალების მიხედვით, ჩვენ საქმე გავაქს იმ დროის ერთ-ერთ დაწინაურებულ ხალხთან და მათ საინტერესო კულტურასთან. სანამ დავიწყებდეთ ზემოხსენებული უძველესი სასაფლაოს და მის ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩენილი ნივთების აღწერას, ჩვენ შევუდგებით მანამდე ნანახი ობიექტების და ძეგლების დახასიათებას.

5 1944-45 წწ. სოფ. დვანში, ისტ. მეც. დოქტ. ს. მაკალათიას ხელმძღვანელობით და ს. ნადიმაშვილის მონაწილეობით, ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები. სოფ. დვანის სამაროვანი ს. მაკალათიამ დაათარიღა ძგ. წ. VII-VI სს.

სოფ. ტინისხიდი

სოფ. ტინისხიდი მდებარეობს ქალაქ გორიდან ჩრდილო-დასავლეთით, 2 კმ-ის დაშორებით. სოფელი გაშენებულია მთის ფერდობზე, მდ. ლიახვის მარჯვენა ნაპირას. სოფ. ტინისხიდში ვიყავით 1939 წლის 24 და 25 სექტემბერს.

სოფელში დღემდე დაცულია ძეგლი ქართლური ტიპის, მიწური ბანიანი „დარბაზი“, რომელსაც აქვს გაკეთებული „გვირგვინიანი“ სანათური – კონუსისებური მოყვანილობის, მუხის ხის ძელებისაგან ნაგები. შიგ დარბაზში, დედაბოქებზე ამოკვეთილია საინტერესო ქართული ორნამენტები, შესრულებული მუყაითად და მარტივად. დარბაზში არის თახჩები და წალოები. ზოგიერთი წალო უკვე ჩამონგრეულია, რითაც დარბაზი უკვე საკმაოდ დაძაბუნებულია. დარბაზი ეკუთვნის ნიკოლოზ ალექსის ძე ბერელაშვილს. მისი მეუღლის გადმოცემით, დარბაზი აუშენებია მამამთილის მამას, დაახლოებით 100 წლის წინათ.

სოფ. ტინისხიდის სასაფლაოს მახლობლად, სოფლიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით, „სერების მიწა“-სთან, თავისი სახლის მახლობლად იასონ დიმიტრის ძე ანიაშვილი 1934 წელს აკეთებდა „კალოს“. მიწის მოთხრის დროს მან იპოვნა შავად გამომწვარი თიხის ქილა, რომელიც გატეხეს ამოღებისთანავე.

სოფ. ტინისხიდიდან დასავლეთით, 2 კმ-ის დაშორებით, მინდორში არის „ჯანდრა გორად“ წოდებული ყორდანი, რის მახლობლადაც, ალექსი იორამაშვილის მამის თქმით, 1900-იან წლებში თავადმა გიორგი ოთარის ძე ამილახვარმა გლეხებს მიწა გაათხრევინა ფარეხისთვის, სადაც აღმოჩნდა თიხის კუბოები და ჭურჭლის ნამტვრევები. ასე რომ აქ ძველი სასაფლაო უნდა იყოს.

სოფ. გეტეხი

სოფ. მეტეხში ვიყავით 26-27 სექტემბერს. ეს სოფელი მდებარეობს რკინიგზის სადგურ „მეტეხი“-დან სამხრეთით, 2 კმ-ის დაშორებით. სოფლის აღმოსავლეთით, ბაღებში გაშენებუ-

ლია „გუგულაანთ უბანი“, სადაც 1934 წელს გლეხმა იოსებ გიორგის ძე გზირიშვილმა თავისი სახლის სარდაფში გათხარა მიწა ქვევრების ჩასაყრელად, სადაც აღმოაჩინა ბრინჯაოს სანის სამარხი თრი მიცვალებულის ჩონჩხით, რომელთაც ჩატანებული ჰქონდათ 18 ცალი მუცელგანიერი და დაწვრილებულძირიანი ჭურჭელი, „ამაზონის“ ტიპის ბრინჯაოს ცული, სანჯალი და სარდიონის მძივები. აგრეთვე მისი სახლის საძირკვლის კედლის ძირში, სარდაფის პირას არის დიდი ქვებით ნაგები ორმო, რომელიც მიცვალებულის სამარხად უნდა ყოფილიყო აგებული ან რელიგიური რიტუალისთვის. ორმოს სიღრმე აღწევს დაახლოებით 1,5 მეტრს, ხოლო ძირი განიერი აქვს, – ასე რომ ორმო მიემგვანება კონუსს. ზემოხსენებული ბრინჯაოს ეპოქის სამარხიდან აღმოჩენილი ნივთები ადგილოდანვე წაღებული იქნა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ მუშაკთა მიერ.

იოსებ გზირიშვილის თქმით, მისი მეზობლები როდესაც თხრიდნენ მიწას, სახლის საძირკვლის გათხრის დროს ისინიც პოულობდნენ მძივებს და ბრინჯაოს ნივთებს, რომლებიც ჩემ მიერ გაკითხვის დროს მის მეზობლებს აღარ აღმოაჩნდათ. გლეხ იოსებ გზირიშვილის სახლს ჩრდილოეთით ჩაუდის რუ, „საყევარას“ სახელწოდებით ცნობილი, დასავლეთით კი საზღვრავს სხვა გლეხთა შენობები, რომლებიც ბაღებშია აშენებული. თვით ეს უბანი გაშენებულია „ხრიო-ჯების“ ადგილას, ბაღებში.

სოფ. სამცერისი (სამწევრისი)

27 სექტემბერს ქარელიდან, სოფ. კეთიჯვარზე გავლით, გავემგზავრეთ სოფ. სამწერისს, სადაც არის ნაქალაქარი და ძველი ეკლესია, ქვანათალით ნაგები, რომელზეც არის წარწერები – მრგლოვანი ხუცურით შესრულებული. ხოლო მის მახლობლად, ქართული აგურით აშენებულია მცირე ფორმის ეკლესია⁶, რომლის კედლებზე შერჩენილია აგურები, რომლებზეც გამოსახულია დვოისმშობლის, წმინდა გიორგის და სხვათა ბარელიეფები. ზოგიერთ აგურზე აგრეთვე შემორჩენილია „ფანასკერტელ-ციციშვილის საძვალე, XVI ს.

ნილია ქართული სახიანი ორნამენტები.

სოფელში ვერ გამოვარკვიე, ყოფილა თუ არა აქ რაიმე აღ-
მოჩენები, რადგანაც მამაკაცები კოლმეურნეობის სამუშაოზე
იყვნენ წასული, ქალებმა კი უარყოფითი პასუხი გაგვცეს.
შემდეგ წავედი აგარაში, საიდანაც გავემგზავრე სოფ. ბრეთში.

სოფ. ბრეთი

გზად გავიარეთ სოფ. არადეთი, სადაც მდ. ფრონეს
მარჯვენა მხარეზე დღემდე დაცულია ციხე-სიმაგრე,
რამდენიმე კოშკით. შემდეგ გავიარეთ სოფ. საღოლაშენი და
ჩავედით სოფ. ბრეთში, სადაც ვერ ვნახეთ მასწავლებელი
ვანო ავალიშვილი, რომელმაც იცოდა სოფ. ბრეთის მახლო-
ბლად არსებული ბრინჯაოს ხანის სამარხების მდებარეობა,
საიდანაც წამოღებული ნივთები საქართველოს კულტურის
ძეგლთა დაცვის კომიტეტის მიერ გადმოეცა გორის მხა-
რეთმცოდნეობის მუზეუმს, როგორც გორის რაიონის ტერი-
ტორიაზე⁷ აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები. ამის
შემდეგ გავემგზავრეთ სოფ. დვანში, სადაც აღმოჩენილა
იმავე კომიტეტის მიერ ჩვენი მუზეუმისთვის გადმოცემული
თიხის „სადღვებელი“, ბრინჯაოს ეპოქისა, რომელიც, ჩვენ-
თან შემოსული ცნობით, აღმოჩენილი იყო სოფ. დვანში,
„სოლო ფერდაზე“, 1938 წელს გზის გაფართოების დროს. ეს
„სადღვებელი“ ჯერ გადასცეს სოფ. ტახტისძირის სასოფლო
საბჭოს თავმჯდომარეს, იოსებ თელიაშვილს, მან კი – კულ-
ტურის ძეგლთა დაცვის კომიტეტს, რომელმაც ა. წელს გა-
დმოსცა ჩვენს მუზეუმს.

სოფ. დვანი

სოფ. დვანი მდებარეობს ფრონეს ხეობაში, სადგურ აგარი-
დან ჩრდილოეთით და დაშორებულია 15 კმ-ით. თვით ამ
სოფელს შესანიშნავი მდებარეობა აქვს: იგი გაშენებულია
ხეობაში, დაცემულ აღგილას, მდ. ფრონეს მარჯვენა მხარეს,
სადაც დაკლაკნილად მიედინება მდინარე ფრონე, რომე-

7 1939 წლიდან სოფ. ბრეთი მიაკუთვნეს ახლადშექმნილ ქარელის რაიონს.

ლიც ადიდებისას ბაღებსა და ვენახებში შეიჭრება ხოლმე და გადაედინება აქეთ-იქით, რაც დიდ ზარალს აძლევს სოფ. დვანის მცხოვრებთ. სოფლის გამოღმით გადის სავტომობილო შარაგზა აგარიდან სოფ. ავნევისაკენ, სადაც 1937-38 წწ. გზის გაფართოების დროს გლეხებმა სამარხებში იპოვნეს სხვადასხვა ნივთები, რომელთაგანაც ზოგიერთი დამტვრიეს, ზოგიც უფრადდებოდ გადააგდეს, ზოგიერთმა კი შეინახა და ისე, უყურადღებოდ მიაგდო სახლში.

სოფ. დვანის სამარხები უნდა ვრცელდებოდეს დიდ ფართზე. ისინი გზის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებზე მთლიანად გასდევს ე.წ. „სოლო ფერდას“ სერსა და მიწებს. „სოლო ფერდას“ მიდამოში უმთავრესად შეგვიძლია გამოვყოთ ორი ადგილი: ერთი ადგილი სოფლიდან აღმოსავლეთ-სამხრეთით, 0,5 კმ-ის დაშორებითაა, რომელსაც ესაზღვრება ქრისტესიაშვილის მამული. სამსონ მამაგულაშვილმა, მისი გადმოცემით, აქ აღმოაჩინა სამარხი, სადაც მიცვალებულთან გვერდით დასაფლავებული იყო ცხენი. მიცვალებულთან აღმოჩნდა რკინის შუბი და რკინისავე ხანჯალი, რომლებიც სამსონ მამაგულაშვილმა გადმომცა. მისი თქმით, მიცვალებულს აგრეთვე ჰქონდა ჩატანებული შავი ფერის თიხის ჭურჭელი, რომლებიც მუშებმა იქვე დაამტკრიეს, ამოდებისთანავე. აგრეთვე იმავე სამსონ ივანეს ძე მამაგულაშვილმა გადმომცა ბრინჯაოს რგოლები, ორი ცალი: ერთი მომსხო ფართისა და ერთიც უფრო მცირე დიამეტრისა. ბრინჯაოს ეს რგოლები სადაც და უორნამენტო. ეს რგოლები ჩატანებული ყოფილა მიცვალებულთან, რომელსაც ხელის მტევანთან სწყობია გვერდით. ეს რგოლები აღმოჩენილია სოლოფერდასთანვე, მეორე ადგილას, სოფლიდან 1 კმ-ის დაშორებით, კახნიაშვილების მამულთან, დაღმართში, გზის გაფართოების დროს.

აგრეთვე საინტერესო ექსპონატს წარმოადგენს ბრინჯაოს სურა, რომელსაც აქვს სამყურას მოყვანილობის ტუჩი. სურა დაბალყელიანია, რომელსაც გარშემო გასდევს წრიული 4 ხაზი, მუცელი განიერი და დაბალი აქვს. სურას არ აქვს ძირი, რადგან მის აღმოჩენს, მექვაბე დათა სამსონის ძე მამაგულაშვილს გადადნობის მიზნით სურა ჩაუგდია ქურაში და როცა

უნახია, რომ სპილენძად არ გარგოდა, ამოუღია და სახლის სახურავზე შეუგდია, სადაც ჩვენ შევამჩნიეთ მასთან მის-ვლისას და მოთხოვნისთანავე გადმოგვცა. მისგანვე წამოვიღე გაურკვეველი ნივთის ბრინჯაოს ტარი, რომელსაც ბოლო აგრეთვე მოჭრილი აქვს. ზემოხსენებული სურა და ბრინჯაოს ტარი აღმოჩენილია, დათა მამაგულაშვილის თქმით, მის მიერ, 1937 წელს გზის გაფართოების დროს, „სოლო ფერდასა“ და „გერჩევების მიწას“ შორის, რომელიც მდებარეობს ქრისტესი-აშვილების და კახნიაშვილების მიწებს შორის.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ნივთებისა, შევიძინე და მუზე-უმს გადმოვეცი შავად გამომწვარი თიხის უურიანი კოჭობი, რომელსაც მოტეხილი აქვს პირი. კოჭობს ზედაპირი მოპრი-ალებული აქვს, ხოლო მუცელზე წრიულად გასდევს დაღა-რული, პატარა კუწუბიანი, სამხაზოვანი ორნამენტი. კოჭობი აღმოჩენილია 1938 წელს, კახნიაშვილების მიწის მახლობლად, სოლოფერდასთან გზის გაყვანის დროს; აღმოაჩინა გიორგი ყარამანის ძე მამაგულაშვილმა.

კოლა იასონის ძე კოპაძემ მუზეუმისათვის უფასოდ გად-მოგვცა შავად გამომწვარი თიხის სარძევე-საწველებული და ჩაფი, რომლებიც ზედაპირზე მოპრიალებულია. ეს ჭურჭელი აღმოჩენილია „ვერხვების მიწას“ და „სოლო ფერდას“ შორის, გზის პირას, 1938 წ. გზის გაფართოების დროს. ამ ორ ჭურ-ჭელთან ერთად კიდევ სხვა ქოთხებიც ყოფილა ჩატანებული მიცვალებულთან, მაგრამ ამოღებისას დამტვრეულა. კოლა კოპაძის თქმით, მიცვალებულს თავთან ედგა ჩაფი და სარძევე, რომელთა ახლოს ელაგა დანარჩენი მიცვალებულების ოთხი თავის ქალა, ჩონჩხების გარეშე. ასე რომ თავისქალები ცალკე იყო ჩატანებული მიცვალებულთან. მათ ახლდათ სხვადასხ-ვა ნივთები, რომლებიც გლეხებმა დაიტაცეს აქეთ-იქით იმ მიზნით, რომ ეგონათ ოქროსი გამოღვებოდა, მაგრამ როცა შეიტყვეს, რომ ოქრო არ იუნგება, გადაყარეს აქეთ-იქით. ჩვენ მიერ წამოღებული ჩაფი მუცელგანიერია, რომელსაც აქვს თოკისებურად გადაწნული თიხისავე პატარა ყური. ჩაფი დაბალებულიანია, მას მუცელზე და ყელზე გასდევს გარშე-მოწირული წვრილი საზები. საწველებული კი დაზიანებულია – ცალი ყური მოტეხილი აქვს /ამოღების დროს/; მეორე ყური

მცირე ზომისაა, გამობმული აქვს მუცელთან; მუცელი განიერი აქვს, ძირი კი – ვიწრო; პირთან გარშემო გასდევს ორი წრიული ხაზი. ზემოთ აღწერილი ჩაფი და სარძვე-საწველული აღმოჩენილია ერთ სამარხში, როგორც აღვნიშნეთ, კოლა იასონის ძე კოპაძის მიერ 1938 წელს. ეს ადგილი, სადაც აღმოჩნდა დასახელებული ნივთები, ჩვენ მიერ დათვალიერებული და შესწავლილი იქნა. ადგილი წარმოადგენს მეტად საინტერესო საკვლევ პუნქტს, როგორც გაკვრით მოვიხსენიეთ ჩვენი აღწერილობის მოკლე შესავალ ნაწილში. გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს, რომ ამ ადგილებში ჩატარდეს რამდენიმე სამარხის არქეოლოგიური გათხრა, ამ უძველესი სასაფლაოს სამარხების ტიპისა და ხასიათის წინასწარ გასარკვევად, რაც საფუძვლად უნდა დაედოს მომავალ დიდ არქეოლოგიურ გათხრებს სოფ. დვანში, „სოლო ფერდას“ ბრინჯაოს ეპოქის სასაფლაოზე.

სოფ. დვანშივე საინტერესო კვლევის ობიექტს წარმოადგენს საშუალო საუკუნეების „ნასოფლარის“ ან „ნაქალაქარის“ ადგილი კ. წ. „ქამანთ ახოზე“, სადაც თანამედროვე, ახლანდელი სოფლის მოსახლენი ხვნის დროს ავლენენ ქვიტკირითა და აგურით ნაგებ შენობების განიერ კედლებს, რომელთა შორისაც ხშირად ჩნდება ქვევრები და ჭურჭლის ნამტვრევები. სოფ. დვანის მცხოვრებმა, შაქრო ყარამანის ძე მამაგულაშვილმა 1938 წელს, მიწის თხრის დროს იპოვნა თიხის ჯამი, რომელიც, მისი თქმით, იყო ქაშანურის /მოჭიქული/, სახიანი, რომელზეც აგრეთვე იყო რამდენიმე ასო-ნიშანი გამოსახული. შაქრო ყარამანის ძის გადმოცემით: წარწერა სუცური ანბანით უნდა ყოფილიყო შესრულებული. მისივე თქმით, აქ თურმე მიწის გადაბრუნების დროს ადგილი ჰქონია ძველი, ქაშანური ჭურჭლის ნამტვრევების აღმოჩენას, რომლებსაც უკურადღებოდ ტოვებენ ისევ ადგილზევე. ზემოთ აღწერილი ნივთები, რომლებიც გლეხებს ჰქონდათ, გამოვართვით და გადმოვეცი მუზეუმს, არქეოლოგიური მასალების შეგროვების მიზნით, – უმთავრესად, რა მიზანსაც შეადგენდა გელზე ჩვენი გამგზავრება.

სოფ. დვანი_ნიქოლის გზა

სოფ. დვანიდან ფეხით გავიარეთ სოლოფერდასკენ და ავტომანქანით საიდანაც ჩვენ წინ გადაიშალა მინდორი, სადაც ცხინვალისკენ გამოჩნდა სოფ. დვანიდან 4 კმ-ის დაშორებით მდებარე „ბორცვის“ სახის ყორდანი, რომელზეც დასმულია „სატრიანგულაციო წერტილი“. ეს „გორაქა“, როგორც მას ხალხი ეძახის, არის ყორდანი, რომლის სიმაღლე უდრის დაახლოებით 2 მეტრს, დიამეტრი კი – 30 მეტრს. ყორდანი მდებარეობს გზის მარცხნივ, კარგად მოშორებით. ამ ყორდანიდან 2 კმ-ის დაშორებით, სოფ. ნიქოლისკენ, გზის მარჯვნივ მდებარეობს კ. წ. „ყვავის საყდარი“, რომელიც დანგრეულია და, როგორც ჩვენი დათვალიერებით გამოირკვა, ხალხს გალესია დაუშენებია ზედ ყორდანზე. ასე რომ ეს „გორაქა“ ტიპიური ყორდანის შთაბეჭდილებას ტოვებს.

სოფ. დგვრისი

სოფ. დგვრისში, სტალინირი-ჯავის შოსე № 117-ში, მაშინ სალაძის სახლის გვერდით, ბაღში, მისი ქმარი – გაბრიელ სალაძე და შვილი – ირაკლი, 1932 წელს ალიზისათვის თხრიდნენ მიწას, სადაც ორმოში, დაახლოებით 1,5 მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა სამარხი, სადაც დასაფლავებული იყო მიცვალებული, რომელსაც, მაში სალაძის ცნობით, ჩატანებული ჰქონდა ბრინჯაოს ცული (ამაზონის ტიპისა), ხანჯალი, ცულის ტარის მოსართავი ბრინჯაოს სალტე (ორნამენტირებული) და შავი ფერის თიხის ჭურჭელი, რომელთაგანაც სალაძეებს შერჩენდათ ხანჯალი და ცულის სალტე, რომლებიც მე გადმომცეს. ზემოხსენებული სამარხი წარმოადგენს საინტერესო ობიექტს მომავალი არქეოლოგიური გათხრებისათვის და მის შესასწავლად.

სერგო ილიას ძე ნადიმაშვილი

8. 10. 1939 წ.

ს. ი. ნამისავალი

არქეოლოგიური დაზვრვები მდ. ქაშის ხეობასა და ნატახტარ _ გორის გზის მშენებლობაზე

1939წლის 8 ოქტომბერს გავემგზავრე არქეოლოგიური ძეგლების და აღმოჩენის ადგილების დასაზვერად და შესასწავლად: ნატახტარ-გორის გზის მშენებლობაზე, სტალინის და ხაშურის რაიონებში.

ჩემი მოგზაურობის შედეგად გამოირკვა, რომ მთელ რიგ ადგილებში ადგილი აქვს არქეოლოგიური ძეგლებისა და სამარხების შემთხვევით აღმოჩენას, მაგრამ ზოგიერთი ადგილობრივი მცხოვრებლების უკიცობის გამო ისპობა და ნადგურდება ან ზოგჯერ სრულიად იკარგება აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები და მთელი რიგი საინტერესო ობიექტები. ზემონათქვამი მოსაზრება ეხება სოფ. ძამის (მდ. ძამის ხეობა) ბრინჯაოს ეპოქის სამარხებს, სადაც ადგილობრივ გლეხობას, 1917-18 წლებში გაუკეთებიათ კალოები და დაურდვევიათ მიწაში გამოჩენილი ზოგიერთი ქვაური, საიდანაც აღმოჩენილი ნივთები და კერამიკა დაუმტვრევიათ და ზოგიც წაუღ-წამოუდიათ სახლებში, სადაც დაუყრიათ უყურადღებოდ.

მდ. ქაშის ხეობა

სოფ. ძამა

სოფ. ძამა მდებარეობს მდინარე ძამის ხეობაში: გაშენებულია მდინარის მარცხენა და მარჯვენა მხარეს, მთიან ფერდობებზე, რის ახლოც უკვე იწყება ფოთლოვანი და წიწვოვანი ტყები. სოფელი ძამა განლაგებულია ორ უბნად, სადაც ცხოვრობენ იმერეთიდან გადმოსული გლეხები. მდ. ძამის მარჯვენა ნაპირზე მდებარე უბანში მოსახლეობენ ცხოვრებაძეები. ეს უბანი მაღლიდან გადასცექრის მდინარე ძამის ორივე მხარეზე მჭიდროდ გაშენებულ წიფლისა და მუხის ხეების ტანაყრილ, ხშირ ჭალებს. ცხოვრებაძეების უბნის ქვემოთ,

1917-18 წლებში გლეხობას უბნის ხალხისათვის გაუკეთებიათ ხორბლის გასალეჭი კალოები „წისქვილის სერზე“, როგორც ამ ადგილს ადგილობრივი მცხოვრებლები უწოდებენ. აქ, მიწის მოთხოვისა და მოსწორების დროს, თედო იორდანეს ქეცხოველების თქმით, მას და სხვა გლეხებსაც გამოუჩნიათ ქვაყუთები, სადაც მიცვალებულის და ცხოველთა ძვლები უნახიათ; გარდა მიცვალებულთა და საქონლის ჩონჩხისა, იქ უპოვნიათ ბრინჯაოს რგოლები, შუბები, მძივები – სხვადასხვა ზომის და ფერისა, თიხის ჭურჭელი, რომელთა შორისაც ყოფილა, მისი აღწერით, შავი, მოპრიალებული ზედაპირის მქონე, ორნამენტირებული ჭურჭელიც. თვით მას უპოვნია ბრინჯაოს 4 ცალი რგოლი, რომელთაგანაც მას შერჩა მხოლოდ 1 ცალი ბრინჯაოს რგოლი, რომელიც ბოლოკვეთილი და ერთმანეთზედებული, გარშემო დაღარული, მცირე ზომისა და კარგად ნაწროვბია. მისმა მეზობელმა აგრეთვე გადმომცა მეორე რგოლი, უფრო მცირე სიმსხოსი, ვიდრე ბრინჯაოს პირველი რგოლი. ეს რგოლი სადაა, ბოლომოკვეთილი და ნაკლული.

ზემოთ აღნიშნულ ადგილზე – „წისქვილის სერზე“, სოფ. ძამაში საჭიროა, რომ ჩატარდეს, ცოტა ხნით მაინც, არქეოლოგიური გათხრები, რათა გამოირჩეს ამ სამარხების სისტემისა და დროის ხასიათი, რომ მომავალში აქ ჩატარდეს ფართო არქეოლოგიური გათხრები.

სოფ. სათერძე

სოფ. სათერძე მდებარეობს სოფ. გვერძინეთიდან დასავლეთით, დაახლოებით 3 კმ-ის დაშორებით, მდ. ძამის მარჯვენა შენაკადის, მდინარე სათერძის ხეობაში, სადაც, ისევე როგორც სოფ. ძამაში, ცხოვრობენ ზემო იმერეთიდან გადმოსახლებული გლეხობა, რომელთა შორისაც უმეტესად კურტანიძების გვარისანი არიან.

სოფელში დაცულია უძველესი ეკლესია, რომელიც ნახევრად დაქცეულია. სოფლის სამხრეთით კი შემონახულია მეტად საინტერესო ეკლესია, რომელსაც, გლეხების თქმით,

დღემდე შერჩენია წარწერები და ჩუქურთმები. გლეხები მის აშენებას მიაწერენ თამარ მეფეს და უწოდებენ „თამარის საღტარს“(!). სოფ. საოცრძეში, 1900 წელს მაშო კოტეს ასულ-მა კურტანიძემ ზემოაღნიშნულ „თამარის საღტრის“ მახლობლად, „საღტრის ვაკე“-სთან იპონვა ბრინჯაოს ცული: პირმომრგვალებული, საშუალო ზომის, ბრტყელყურიანი, ამაზონის ტიპისებური, რომელსაც ქიმები აქვს მოტეხილი. ეს ცული გადმომცა მაშო კურტანიძის ნახევარმმამ, ალექსი კოტეს ძე ქოქოშვილმა. მაშო კურტანიძის თქმით, მწყემსი ბიჭები მისი ყმაწვილობის დროს ხშირად პოულობდნენ ლი-თონის იარაღებს და ქოთნებს.

სოფ. ზღუდერი

სოფ. ზღუდერი მდებარეობს საღგურ ქარელიდან დაახლოებით 10 კმ-ის დაშორებით. იგი გაშენებულია მდინარე ძამის მარჯვენა ნაპირას და მდინარე ლვანანას ორივე ნაპირზე. მდ. ძამას მარჯვენა მხრიდან შეერთვის მდ. ლვანანა. სოფ. ზღუდერიდან 3 კმ-ის დაშორებით, სოფ. იმერხევის ზემოთ უკაე იმერხევის ხეობაა, რომელიც ორივე მხრივ დაფარულია ხშირი ტყეებით.

სოფ. ზღუდერში, მდ. ლვანანას მარჯვენა მხარეს, სასოფლო საბჭოს მახლობლად, გლეხმა ნიკოლა ალექსის ძე აბაევმა თავის საკუთარ ბაღში მიწის ხვნის დროს, 1930 წლის გაზაფხულზე აღმოაჩინა სამარხის ლოდები, რასაც მიწის გადაბრუნების დროს, მისი თქმით, ამოჰყვა თიხის ჭურჭლეულობა და შუბი. კერამიკა მეხრეებს დაუმტვრევიათ, ხოლო შუბი თვით ნიკოლა აბაევს წამოუდია სახლში და შუბის ნაპირები მოუმტვრევია, რათა გაეგო, რისგან იყო დამზადებული ეს შუბი, მაგრამ როცა გაიგო, რომ მისოვის გამოსადეგი არ იყო, მიანება თავი და სახლში შეინახა, რომელიც ჩემი იქ მისვლისას ძლივს აღმოაჩინა და გადმომცა. შუბი დამზადებულია ბრინჯაოსაგან: მოტეხილი აქვს წვეტი, გვერდები კი – დაჭეჭყილი.

ჩვენ გამოვარკვიეთ, რომ სოფ. ზღუდერის მახლობლად,

მაღლობ ადგილას, მთის ზეგანზე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეები უწოდებენ „ბედემს“, ხვინისა და თოხინის დროს ხშირად ჩნდება ხოლმე თიხის ჭურჭელი და ნამტვრევები, აგრეთვე ლითონის სხვადასხვა ნივთები.

სოფ. ზღუდერში არის საინტერესო ეკლესიის ნანგრევები⁸, სადაც არის ბევრი საინტერესო ძველი ქართული ორნამენტები და ხუცური წარწერები, შესრულებული კარგად დამუშავებულ ქვებზე.

ამის შემდეგ გავემზავრე ნატახტარ-გორის გზის მშენებლობაზე.

სოფ. ხეროვანი

სოფ. წეროვანის მახლობლად და სოფ. მუხრანთან, ქსნის ხიდის მახლობლად, სადაც გზის მშენებლობაა, ნატახტარ-გორს შორის ადგილი აქვს არქეოლოგიურ აღმოჩენების. მუშები ძალიან ხშირად პოულობენ ძვირფას არქეოლოგიურ ნივთებს. აქ აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთები, სარდიონის მმივები და თიხის ორი ჭურჭელი გადმოგვცეს ჩვენ. ზემოთ ნახსენები ნივთები აღმოჩენილია 135-ე პიკეტზე /თითოეულ პიკეტს შორის მანძილი – 100 მეტრი/, ქსნის ხიდის მახლობლად, გზის მშენებლობის დროს, 1,2 მეტრის სიღრმეზე.

უნდა ითქვას, რომ ამ ადგილებში, გზის მშენებლობის დროს, ხშირად ადგილი აქვს სხვადასხვა აღმოჩენების. საჭიროა ჩვენმა მუზეუმმა ზემოხსენებული გზის მშენებლობის მუშაკებთან დაიკავოს მჭიდრო კავშირი და მიავლინოს თავისი თანამშრომელი, რათა შესწავლილი იქნეს ეს ადგილები და ძეგლები თვით აღმოჩენის ადგილას, ცალკეული ობიექტების სწორად განსაზღვრისათვის და შესწავლისათვის.

სოფ. კუსრეთი /სტალინირის რაიონი/

სოფ. კუსრეთი მდებარეობს 3 კმ-ის დაშორებით ქალაქ სტალინიდან /ყოფ. ცხინვალი/, სოფ. დგვრისიდან ჩრდილი ქარელის რაიონის სოფ. ბლუდერის ე. წ. „სამცვლესიანი ბაზილიკა“ (VI-VII, XIII-XIV).

ლო-დასავლეთით, მთის ზეგანზე.

სოფ. კუსრეთში ადგილი აქვს არქეოლოგიური ნივთების აღმოჩენას ე.წ. „სიჯით კახე“-ის ადგილას, როგორც ამ ადგილს უწოდებს ადგილობრივი გლეხობა. ამ ადგილებში გლეხობა მთის სერიდან თხრიან შენობების გასაღეს მიწას, რომელიც არის კირისავით თეთრი. ამ თეთრი მიწის ფენა-ში ხშირად, თხრის დროს ადგილი აქვს ქილებისა და სხვა ნივთების გამოჩენას, საიდანაც წამოდგებული თიხის ჭურჭელი აღმოაჩნდათ ზოგიერთ გლეხს, რომლებიც წამოვიდე და გად-მოვეცი მუზეუმს.

სოფ. დგვრისი

სიკო მეშვილდიშვილმა სოფ. დგვრისში, ჯავის შოსეზე, თავისი სახლის საძირკვლის გაჭრის დროს აღმოაჩინა ბრინჯაოს გულსაკინძები – 2 ცალი, სარდიონის მივები და ბრინჯაოს ბრტყელი მახვილი, თხელი ბრინჯაოსაგან დამზადებული, რომელიც გაუხეხია სიკო მეშვილდიშვილს და გადაუცლია „პატინა“. ბრინჯაოს მახვილი გამოვართვი და გადმოვეცი მუზეუმს. მახვილი მოკლეა – აკლია ტარი. მახვილს სახელურზე აქვს ნაჩვრეტი, ორივე მხარეზე. მახვილი მჭრელი ბრინჯაოსია; სიკო მეშვილდიშვილის თქმით, აღმოჩენილია სამარხეში.

სოფ. დგვრისშივე, ჯავის შოსე N 117-ში მცხოვრებმა მაშო სალაძემ /მასთან მეორედ მისვლისას/ გადმომცა მის ეზოში აღმოჩენილი სამარხის ნივთებთან ერთად ნაპოვნი შუბისწვერი, რომელიც მთლიანად /ტარითურ/ ბრინჯაოსაგან არის ჩა-მოსხმული. შუბისწვერი საშუალო ზომისაა. შუბისწვერი წა-მოვიდე და გადმოვეცი მუზეუმს.

სოფ. დგვრისიდან გამოვემგზავრე ქ. გორს, 1939 წლის 18 ოქტომბერს.

სერგო ნადიმაშვილი

20. X. 1939 წ. ქ. გორი.

ს. ი. ნადიგაშვილი

არქეოლოგიური დაზვერვები ხაშურის და ქარელის რაიონებში

1939 წლის 22 ოქტომბერს გავემგზავრე არქეოლოგიურ დაზვერვაზე: ხაშურისა და ქარელის რაიონებში. ჩვენ ჯერ გავემგზავრეთ ქ. ხაშურისაკენ, რადგანაც მუზეუმში შემოსული ცნობით, სოფ. ზემო ოსიაურის სასოფლო საბჭოში შემავალ სოფ. პატარა ახალსოფელში ადგილი ჰქონია არქეოლოგიურ აღმოჩენებს.

სოფ. ზემო ოსიაური

სოფ. ზემო ოსიაური დაშორებულია ქ. ხაშურიდან 2 კმ-ის მანძილით, აღმოსავლეთით. სასოფლო საბჭო მოთავსებულია ორსართულიან, თავად ვეზირიშვილის ყოფილ სახლში, სადაც აგრეთვე არის სოფლის არასრული საშუალო სკოლა და სოფ. ზემო ოსიაურის კოლმეურნეობა.

სოფლის არასრული საშუალო სკოლის სამასწავლებლო ნაწილის გამგის, ისტორიის მასწავლებელ ლევან გლადიმერის ძე ჩერქეზიშვილის გადმოცემით, სოფ. ზემო ოსიაურის მახლობლად, სოფ. პატარა ახალსოფელში, სოფლის სკოლის გვერდით, 1938 წელს გლეხი გიორგი პაგლეს ძე გელაშვილი ახალი სახლის ასაშენებლად მოზომილ ფართში აწარმოებდა საძირკვლის გაჭრას, სადაც წააწყდა სამარხებს, საიდანაც აღმოჩენილი ნივთებიდან მან სოფ. ზემო ოსიაურის სკოლის მასწავლებელს, ლევან ვლადიმერის ძე ჩერქეზიშვილს გადასცა თიხის 6 ცალი პატარა ზომის ჭურჭელი, რომელთაგანაც ლევან ჩერქეზიშვილმა გადმომცა თიხის 3 ცალი სურა-ჭინჭილა: პირველი – პატარა ზომის სურა, განიერმუცლიანი და დაბალყელიანი, შავად გამომწვარი თიხისაგან დამზადებული, რომელსაც ზედაპირი დაფარული აქვს კირქვით; მეორე – საშუალოზე მოზრდილი ზომის სურა, იგივე ფორმისა და მოყვანილობისა, ზედაპირი დაფარულია იგივე შემადგენლობის ნივთიერებით; მესამე – ჭინჭილა, პატარა, მოცრო ზომისა,

ყვითელი თიხისაგან დამზადებული, რომელსაც ყელი და უური მოტეხილი აქვს.

მასწავლებელ ლევან ჩერქეზიშვილის თქმით, გლეხ გიორგი პავლეს ძეს უპოვნია სხვა ნივთებიც, რომლებიც გადაუმალია და არ მიუცია ჩერქეზიშვილისთვის, აღმოჩენის ადგილას მისი მისვლის დროს. ლევან ჩერქეზიშვილის გადმოცვით, მან ნახა სამარხებში დასაფლავებული მიცვალებულები, რომელთაც არ აღმოაჩნდათ არავითარი სხვა დანარჩენი ნივთები, გარდა გელაშვილის მიერ ამოღებული, ზემოაღწერილი ჭურჭელისა. ლევან ჩერქეზიშვილის თქმით, მიცვალებულები დასაფლავებული იყვნენ გვერდზე, მოკრუნებულად მწოლარენი, სახით ჩრდილოეთისაკენ მიპყრობილი. მიცვალებულები ქვაყუთებში ყოფილან დასაფლავებულ-მოთავსებული, როგორც მასწავლებელმა ლევან ჩერქეზიშვილმა აგვიწერა – კადრატული ფორმის ქვაყუთებში. ასე რომ ეს სამარხები უძველესი ხანის უნდა ყოფილიყო, რასაც ამტკიცებს თვით სამარხებში აღმოჩენილი თიხის სურებიც, რომლებიც დაახლოებით ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV-II სს. უნდა იყოს.

ცუდი ამინდის გამო შესაძლებლობა არ გვქონდა, რომ მასწავლებელ ლევან ჩერქეზიშვილთან ერთად წავსულიყვავით სოფ. პატარა ახალსოფელში, რომ დაგვეთვალიერებინა აღმოჩენის ადგილი და გვენახა დასაკითხად თვით გლეხი გიორგი გელაშვილი, რადგან გვაინტერესებდა თვით აღმოჩენის ადგილის გაცნობა და შეიძლება კიდევ მოგვეძია სამარხებში შემთხვევით ნაპოვნი ნივთები, რაც ინტერესმოკლებული არ იქნებოდა ჩვენთვის და მეცნიერებისათვის, მაგრამ წვიმის გამო ჩვენ ხაშურში დაგვირუნდით და იქიდან გავედით მდ. მტკვრის მეორე მხარეზე, სადაც უფრო სიმშრალე იყო და ტალახი არ შეგვაწუხებდა ფეხით სიარულის დროს.

სოფ. ზემო ოსიაურში დაცულია ჯვრისებური ფორმის კომბინირებული ციხე-სიმაგრე, რომელიც 4 ცალი კოშკისაგან შედგება, რაც ციხეს გეგმაში ჯვრის სახეს აძლევს. მასწავლებელ ლევან ჩერქეზიშვილის ცნობით, ეს ციხე-კოშკი აშენებული ყოფილა მეფე ერეკლე II-ის მიერ, რომლის დროსაც ქვაზე გაუკეთებიათ წარწერა – ციხის აშენების თარიღისა.

ეს ქვა, როცა ციხე დაზიანებული და ორი სართული მოუხსნიათ გლეხხობას, მაშინ ერთ-ერთ გლეხს წაუღია სახლში შესანახად, მაგრამ რამდენიმე წლის წინათ სოფელში თბილისიდან ჩამოსულა მეცნიერ მუშაკი, რომელსაც ქვა სოფლიდან წაუღია თბილისის მუზეუმში, – რამდენად სიმართლეს შეეფერება ეს ცნობა, ჩვენ არა ვიცით რა. იმავე ჩერქეზიშვილის თქმით, თავადი ვეზირიშვილები ოსმალეთიდან წამოსული ქართველები ყოფილან, რომელნიც ისევ დასახლებულან საქართველოში, სახელმობრ სოფ. ზემო ოსიაურში, სადაც დიდძალ მამულებს დაპატრონებულან და შეძლებულ თავადებადაც ითვლებოდნენ ზემო ქართლში.

სოფ. პატარა ხალვა

სოფ. პატარა ხალები მდებარეობს მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, დაახლოებით 3 კმ-ის დაშორებით ქ. ხაშურიდან. სოფელ პატარა და დიდ ხალებში დასახლებული არიან იმერეთიდან გადმოსახლებული გლეხები. სოფ. პატარა ხალებში, „დელის მიწაში“ ხვის დროს, გლეხმა გიგუცა ლურსმანაშვილმა ნახნავში აღმოაჩინა ბრინჯაოს ზოდი, პრიზმატულ-პირამიდალური მოყვანილობისა. იქვე, დაახლოებით 10 მეტრის დაშორებით, აღმოჩნდა სალესი ან საწონი ქვა: რიყის ქვისა, მრგვალი მოყვანილობის, ცოტათი ბრტყელი ცალ გვერდზე, შავი ფერის. ეს ქვა ნაპოვნია ცოტა დაღრმავებულ ადგილას, „დელის მიწაში“.

სოფ. პატარა ხალებიდან ჩვენ დავბრუნდით უკან, ისევ ქ. ხაშურისაკენ და წავედით ქარელში, საიდანაც გავეშურეთ სოფ. გვერძინეთს და ჩამოვედით სოფ. ორთუბანში.

სოფ. ორთუბანი

სოფ. ორთუბანი მდებარეობს მდ. ძამის ხეობაში, სოფ. გვერძინეთიდან დაშორებულია 3,5 კმ-ის მანძილზე ქარელის მიმართულებისკენ. შიგ სოფელში ჩამოდის წყარო, სადაც გაშენებულია სოფლის ერთ-ერთი უბანი, რომელსაც სოფლის მცხოვრები უწოდებენ: „ჭაობის უბანს“, რადგანაც მთის

უერდის ძირასაა გაშენებული ეს უბანი და წვიმების შემდეგ დამდგარი წყალისაგან მართლაც ჭაობდება ხოლმე. წყლის კალაპოტში ნიაღვრების შემდეგ, გლეხების თქმით, ხშირად ჩნდება ხოლმე მძივები და ბრინჯაოს სამკაული, მაგალითად: გასულ, 1938 წლის გაზაფხულზე სოფ. ორთუბანის მცხოვრებმა, კოლმეურნე ნადევდა დიანოზის ასულმა ფარასტაევმა იპოვნა ბრინჯაოს ვერძის მცირე ქანდაკება, რომელიც საკულტო დანიშნულების უნდა იყოს. ვერძის ეს მცირე ქანდაკება გაკეთებულია სპეციალურად ტანსაცმელზე დასაკიდად.

სოფ. წითელსოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარისან აგრეთვე გავიგეთ, რომ სოფ. ორთუბანში 1937 წელს ერთ-ერთ გლეხს უპოვნია თიხის ქილა ფულების განძით, საიდანაც რამდენიმე ცალი ზემოთ ნახსენებ სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს წაულია ქარელში და გადაუცია სატყეო მრეწველობის ტრესტის დირექტორისათვის, რათა მას თბილისში გაეგო ფულის მოჭრის დრო და ლითონის შემადგენლობა.

ჩვენ აგრეთვე შევიტყეთ, რომ ქარელის რაიონში, სოფ. ჭანდრებში 1939 წლის გაზაფხულზე უპოვნიათ სამარხი: მინდვრად მიწის ხვის დროს, საიდანაც კოლმეურნეობის წევრებს წაულიათ ბრინჯაოს იარაღები.

სასურველია, ზემოხსენებულ ორ უკანასკნელ, ახალ ადგილებში გამგზავნოთ დასაზვერად და შესასწავლად, ორი დღით მაინც, რადგანაც შეიძლება დაიკარგოს მეტად საინტერესო არქეოლოგიური უქსპონატები და მასალები.

ს. ი. ნადიმაშვილი

1939 წელი, 28. X.

ს. ი. ნადიგაშვილი

არქეოლოგიური დაზვერვები მდინარეების: მაჯუდის, ხურვალეთის, პერშოულას და არცეულას ხეობები

(1943 წლის არქეოლოგიურ ძიებათა შედეგები)

თანახმად გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილების გეგმით გათვალისწინებული სამუშაოს ჩატარებისა, მივლენილი ვიყავი მეჯუდის ხეობის და მის მახლობელ დასახლებულ აღგილებში არქეოლოგიური კვლევა-ძიებისა და უცნობი ძეგლების შესასწავლად. მივლინების ვადა განისაზღვრებოდა 1943 წლის 14 ნოემბრიდან 24 ნოემბრამდე, მაგრამ მუშაობის გამო დაგყავით 25 ნოემბრამდე.

სამუშაო გეგმით და ჩვენს ხელთ არსებული ცნობების მიხედვით, გვსურდა ჩვენი მივლინების მარშრუტი ყოფილიყო შემდეგნაირი: ქ. გორიდან უნდა მეტგზავრა ავტომანქანით ოვით სოფ. მეჯვრისხევამდე, ხოლო იქიდან დამეწყო მდ. მეჯუდის ხეობის ზემო წელში და მის ახლომდებარე დასახლებულ აღგილებში არქეოლოგიური აღმოჩენებისა და ძეგლების გამომჟღავნება.

სოფ. ხელთუბანთან მიახლოებისას შემთხვევით ავტომანქანა მოიშალა, რის გამოც, დიდი ლოდინის შემდეგ, შევცვალეთ ჩვენი განზრახული მარშრუტი და დავიწყეთ მდინარე მეჯუდის ქვემო წელის მარცხენა მხარეს მდებარე აღგილების შესწავლა. ჩვენი კვლევის პირველ დასახლებულ პუნქტს წარმოადგენდა სოფ. ხელთუბანი, სადაც დამით დავრჩით და მეორე დღეს მოვახდინეთ არქეოლოგიური დაზვერვა და ძეგლების შესწავლა.

სოფ. ხელთუბანი

სოფ. ხელთუბანი მდებარეობს ქალაქ გორიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით და დაშორებულია 5 კმ-ის მანძილით.

სოფლის სახელწოდება წარმოშობილი უნდა იყოს მისი ფართის სიპატარივის ან მოსახლეობის სიმცირის გამო, ანდა როგორც ქ. გორთან ახლომდებარე სოფელს აღნიშნავდეს: იქვე მყოფი „ხელო – უბანი“.

ამ სოფელში ცხოვრობდა დიდი ქართველი პოეტის და მწერლის ვაჟა-ფშაველას ძმა, პედაგოგი და ამავე დროს ქართული ზეპირსიტყვიერების ჩამწერი და შემგროვებელი თედო რაზიკაშვილი, რომელთანაც დასასვენებლად ხშირად ჩადიოდა ხელოუბანში დიდი მგოსანი. ამჟამად სოფ. ხელოუბანში თედო რაზიკაშვილის ოჯახიდან ცხოვრობს მისი მეუღლე და მეფუტკრედ მუშაობს კოლმეურნეობის საფუტკრეში.

გლეხებისგან, ძველი ცნობებით, ჩვენ ვიცოდით, რომ ხელოუბანში, სოფლის მახლობლად, ორ ადგილას არის ამაღლებული ადგილები, რომლებსაც აქ მცხოვრებლები უწოდებენ: „თამარ მეფის ცხენის ნატალახევს“ ან „თამარ მეფის ცხენის ნაფეხურებს“. ასეთივე ამაღლებული „ბორცობი“, როგორც გლეხები ხშირად უწოდებენ ყორდანულ სამარხებს მათი გარეგანი ფორმის გამო, წინასწარი ცნობებით მეგულებოდა სოფელ სვენეთის მახლობლადაც. გლეხების განმატებით, სიტყვა „სვენეთი“ უნდა წარმოსდგებოდეს აქ – „თამარ მეფის დასვენებისგან“, მათივე თქმით: „გორის ციხეში ხელოუბნიდან გაყვანილი იყო წყარო თამარ მეფის მიერ; რადგანაც თბილი და კარგი ადგილები იყო, ხელოუბანი და სვენეთიც იმან გააშენა“. წყაროს გამოყვანა და ხელოუბან-სვენეთის გაშენება მართლაც თამარ მეფეს ექუთვნის თუ არა, დადასტურებით არ ვიცით, მაგრამ ამ ადგილებში უძველესი მოსახლეობის ბინადრობის კვალი რომ არის, ეს ჩანს აქ არსებული ყორდანული სამარხებით, რომლებსაც არავითარი კავშირი არ აქვთ მოსახლეობის მიერ შეთხზულ, პიპერბოლაქმნილ სახელწოდებასთან და მოსაზრებასთან, ვითომ ეს – „ამაღლებული გორაკები თამარ მეფის ცხენის ფეხის ნატალახევი ან ნაფეხურია“.

ჩვენი დაზვერვის შედეგად გამოირკვა, რომ სოფლის განაპირის, ადმოსავლეთით, ბაღებში, „ქართველიაანთ“ იქით, ვარა გაგნიძის ახლად გაშენებულ ვენახში მდებარეობს სხვა ყორ-

დანებთან შედარებით საშუალო ზომის ყორდანი, რომელიც ჩრდილოეთ მხარეს გადაუთხრიათ და დაუდაბლებიათ, დაახლოებით რამდენიმე პარისპირზე, სადაც გაუშენებიათ ვენახი. ყორდანის მდებარეობის გამორკვევისა და ზომის განსაზღვრის დროს, მისი დათვალიერებისას, სადაც ვაზია გაშენებული, ვიპოვეთ ობსიდიანის რამდენიმე ცალი ანატკეცი და დაუმუშავებული ნამტვრევები. ყორდანის ბოლოს, დასავლეთ-სამხრეთით გადის სარწყავი რუ, რომელსაც დაუხრამავს თვით ყორდანი, რის შედეგადაც ჩანს რიყის ქვების წყობა და თვით ყორდანის ყორე. ყორდანის მეორე ნახევარი სამხრეთ-დასავლეთით დაყამირებულია და ყორდანის დამუშავებული ნაწილისგან ისაზღვრება მცენარეული დობით, რომელიც შეუზე ჰყოფს ყორდანს, ჩრდილო-დასავლეთით კი ვარა გაგნიძის დამუშავებული ვენახი ესაზღვრება, აღმოსავლეთით – სოფ. ახალსოფლისაკენ მიმავალი გზა. თვით ვარა გაგნიძის ვენახს ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს ემიჯნება ლექსა გაგნიძის და შიომვილის ვენახები.

ვარა გაგნიძის ვენახში მდებარე ყორდანიდან დაახლოებით 300 მეტრის დაშორებით, ჩრდილოეთ მხარეზე არის „ნაფარებლების მიწაში“ გაშენებული სეიფაშვილების ბაზი, რომელსაც თავზე ესაზღვრება კარგად მოზრდილი, დიდი ზომის ყორდანი, რომლის სიმაღლე დაახლოებით უნდა უდრიდეს 3 მეტრს, დიამეტრი კი – 40 მეტრს. ყორდანი ნაგებია რიყის ქვებისაგან და ზედაპირზე დაყამირებულია, სადაც იზრდება მონაცრისფრო „ცოცხის ბალახი“, რომელსაც ზოგ ადგილებში აგრეთვე ხმარობებ ჩრჩილის საწინააღმდეგოდ. ზედაპირზე ყორდანი აქაიქ ნათხარია, რაც, გლეხების დამოწმებით, მიუთითებს, რომ აქედან სოფლის მცხოვრებლებს გაუზიდიათ რიყის ქვები სახლების მშენებლობისთვის.

პერა სეიფაშვილისგან გამოვარკვიყ, რომ, როგორც საშენ მასალად და ასევე ბაზის გასაგანიერებლად, იოსებს და მის შვილს, წყალობა სეიფაშვილებს გადაუთხრიათ ყორდანი გარშემო და გაუზიდიათ ქვები. ასეთი სამუშაოს ჩატარებისას, წყალობა იოსების ძე სეიფაშვილს ქვების თხრისას ყორდანის ჩრდილო მხარის ნაპირზე, 1 მეტრის სიღრმის დონეზე უპოვნია თიხის პატარა ურნა, რომელიც რუსიკო და პერა

სეიფაშვილების ოქმით, – „სავსე იყო სარდიონის სხვადასხვა მძივებით და ნაცრისა და დამწვარი ძვლების ნაწილებით“. უნდა შევნიშნოთ, რომ ურნაში მოთავსებული მიცვალებულის ფერფლი მათ მიუჩნევიათ ნაცრად და დამწვარი ძვლები რომ უნახავთ, ქილა დაუმტვრევიათ, ხოლო მძივები – ყველა წამოუღიათ და გაუნაწილებიათ: ნაწილი ერთ ძმისცოლს წაუღია, მეორე ნაწილი თვითვე დაუტოვებია, საიდანაც რამდენიმე ცალი საჩუქრად მიუცია დისტვის, სირანა ხუროშვილისთვის, რომელიც გათხოვილია სოფ. დიდ ხურვალეთში, ვანო ხუროშვილზე. სოფ. დიდ ხურვალეთში როცა გადავედით სირანა ხუროშვილთან მძივების გამოსართმევად, მათ გადმოგვცეს მხოლოდ ერთი პატარა მძივი. ბევრი ძებნის შეძეგ გამოირკვა, რომ – ბავშვებს დაუკარგავთ და თუ ვიპოვეთ, მუზეუმს გადმოვცემთო.

სეიფაშვილების ოჯახიდან წამოვიდე შვიდი, სხვადასხვა ზომის, ცილინდრული და ბიკონური ფორმის, კარგად გაპრიალებული და დამუშავებული სარდიონის მძივები, მღვრიე დაინისფერისა, რომლებიც თავისი შეხედულებით და ფორმით წარმოჩინდება, როგორც ერთ-ერთი ხელოსნობის ნიმუში ქართლის ტერიტორიიდან.

მესამე ყორდანი – „გორაკა“ გვხვდება სეიფაშვილების ბაღის „გორაკი“-დან ჩრდილო-აღმოსავლეთით, დარჩიაშვილის ყოფილ სახნავ მიწაში. ეს მიწა, სადაც ახლა პატარა ყორდანია, უყიდიათ ალექსა და ლექსო გაგნიძეებს, რომელთაც „გორაკი“ დაუდაბლებიათ და გადაუხვნიათ ზედაპირზე. ამჟამად ამ ყორდანის მიწა მოყოლილია კოლმეურნეობის ფართობში. ყორდანის სიმაღლეა 1 მეტრი, დიამეტრი კი – 20 მ.

მეოთხე ყორდანი მდებარეობს „ზეიანებში“ /სახნავი მიწის სახელია/, მესამე ყორდანის გახწვრივ, მინდორში, სეიფაშვილების ყორდანის გასწვრივ – პერპენდიკულარულად, ჩრდილო-აღმოსავლეთით. ეს ყორდანი თავისი მოცულობით ყველაზე დიდია და სიმაღლითაც აღემატება აქ არსებულ სხვა ყორდანებს. ყორდანის სიმაღლე დაახლოებით უდრის 4 მეტრს, დიამეტრი კი 60 მეტრს უნდა უდრიდეს. ყორდანის

ჩრდილოეთ მხარეს ამოთხრილია ქვები, სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარე კი ჩაღრმავებულია.

მეხუთე ყორდანი: მეოთხე ყორდანიდან აღმოსავლეთ-სამხრეთისკენ, დასწვრივ, სოფ. ახალსოფლის გზის მხარეზე, „თანდიწყაროების“ მიწაში აღვრიცხეთ რიგით მეხუთე, დიდი ზომის ყორდანი. ეს ყორდანი დადაბლებულია და გადახნული „ბორცობი“ ოდნავ ჩანს ხელში; აქა-იქ მოჩანს რიყის ქვები და გვხვდება ობსიდიანის მღვრიუგამჭვირვალე, მოშავო ფერის ანატკეცები. ყორდანის დიამეტრი მიახლოებით უდრის 60 მეტრს, სიმაღლე კი – 1 მეტრს.

მეექვსე ყორდანი მდებარეობს მეხუთე ყორდანიდან აღმოსავლეთით, „ლაგმა ხევის“ გვერდით. ამ ყორდანის ფართი შედარებით მცირეა: სიმაღლით ისეთივე, ე. ი. 1 მეტრისაა, დიამეტრი დაახლოებით 40 მეტრია. მეექვსე ყორდანის გადასწრივ, აღმოსავლეთითვე არის მეშვიდე ყორდანი.

მეშვიდე ყორდანი შედარებით პატარაა და ეთანაბრება დარჩიაშვილისეულ, გაგნიძის მიწაში, „ზეიანები“-ს მინდორში მდებარე ყორდანს. ეს ყორდანი „ლაგმა ხევის“ მარცხენა მხარეზეა, ბოსლის დასწვრივ. ზემოხსენებული ყორდანიც გადახნული და დადაბლებულია.

მეშვიდე და მეექვსე ყორდანები მდებარეობენ „ცერა არხის“ ზემოთ, მისი მარცხენა ნაპირის თავზე. თვით „ცერა არხი“ – „ლაგმა ხევის“ და „თანდიწყაროს ხევის“ მიმართებით – დასწრივ, თავზე ჰკვეთავს მათ და მიედინება სამხრეთისაკენ.

სოფელში ჩვენ ვნახეთ რამდენიმე ეკლესია, რომლებიც გვიანდელი ხანისაა; რადგანაც დრო არ გვქონდა, წარწერები აქვთ თუ არა, – არ გვინახია. ამით დავამთავრეთ სოფ. ხელთუბანში პირველადი სარეკოგნოსციო არქეოლოგიური დაზვერვები.

სოფ. ახალსოფელი

მუზეუმში 1941 წელს შევიტყე, რომ გიგო ნიკოლოზის ძე წენწვაძის ცნობით, სოფ. ახალსოფლის და სოფ. ზედდულე-

თის საზღვარზე არის „გორაკა“, „ევავის საყდრად“ წოდებული ამაღლებული ბორცვი, სადაც ჩნდება „აკლდამის კლდეები“ და ქოთნები. ეს გორაკი სოფ. ახალსოფლიდან დაშორებულია 1 კმ-ით. მას ვასო მიხეილის ძე თათარაშვილის მიწა ესაზღვრება. „გორაკას“ მიწა ადრე ვართომაშვილებს ეკუთვნოდათ, ამჟამად კი მოქცეულია კოლმეურნეობის ფართობში. ჩვენ ვერ ვნახეთ ეს „გორაკა“: რადგანაც საშუალება არ გვქონდა ადგილზე დაგვეთვალიერებინა, ვინაიდან ჭაობის გაღმა მდებარეობს.

სოფ. დიდი ხურვალეთი

სოფ. დიდი ხურვალეთი შედგება სამი უბნისაგან, რომლებიც ერთმანეთისგან არიან დაშორებული. პირველი, განაპირა სოფელია „საეკლესიო“, სადაც ცხოვრობენ ადუკაშვილები და სხვებიც. აქ ჩვენ მართალია ბევრი გლეხი დაგვითხეთ, მაგრამ ვერ შევძელით გამოგვერკვია, ადგილი პქონია თუ არა აქ არქოლოგიური ძეგლების შემთხვევით აღმოჩენას, სხვადასხვა სამეურნეო მუშაობის შესრულების დროს. ჩვენ მიერ დიდი დაკითხვის ჩატარებისას: მაინც უშედეგო პასუხი მივიღეთ გლეხებისაგან.

გადავედით მეორე უბანში, ე.წ. „დიდ ხურვალეთში“, სადაც აგრეთვე ვაწარმოეთ არქოლოგიური დაზვერვა და დაკითხვები, რის შედეგადაც გამოვარკვიეთ – დათა აბრამის ძე ხუროშვილის ცნობით: „ხერგო ხაჩირიშვილის კარებზე (ეზოში), სადაც თხრიდნენ ბოსლის საძირკეელს, მუშებმა 1 მ-ის სიღრმეზე გამოაჩინეს თიხის ჭურჭელი და მძივები; ჭურჭლები მიცვალებულებს თავით და ფეხებთან ედგათ“. მუშებს თიხის სურები დაუმტკრევიათ, მძივები კი წაუღ-წამოულიათ. იგივე დათა აბრამის ძე ხუროშვილმა გვითხრა: <<ორმოცი წლის წინათ, როდესაც მეხერეთ ვიყავ გუთანზე, „ნაქოხრების მიწაში“ ხვის დროს გუთანი წამოედებოდა ხოლმე „კლდეებს“, სამოსული, მიწიდან ამოსდევდა გუთანს კლდის გათლილი ქვები, თიხის დამტკრეული ქილები და სურები. ეს მიწები ეხლა უჭირავთ ახალ ხურვალეთელებს და ამუშავებენ ბობნევიდან ჩამოსული, აქ დასახლებული გლეხები>>.

ჩვენ გადავედით ახალ ხურვალეთში და გლეხებს გამოვკითხეთ: რის შემდეგაც გვიამდებს, რომ: <<ხანდახან, ხვის დროს, მართლაც ადგილი აქვს „ლოდების“ გამოჩენას>>. მათ მაჩვენებს სულ ახლახან აღმოჩენილი ქვაყუთის /აკლდამის/ მოგრძო, უხეშად დამუშავებული ქა, რომელიც უნდა ეპუთ-ვნოდეს ფეოდალური ხანის სამარხს.

სოფ. ზემო ხურვალეთიდან გადავედით სოფ. წინაგარაში.

სოფ. ნინაგარა

აქაურ მოსახლეობას დღემდე შემოუნახავთ მეტად საინ-ტერესო ორნამენტიანი ტახტები. ერთი ასეთი საინტერესო ტახტი აქვს განაპირო უბანში მცხოვრებ იაშა მარლიშვილს. აქვე უნდა შეკნიშნოთ, რომ წინაგარის კოლმეურნეობის თავ-მჯდომარის ნესტორ ბიჩინოვის თქმით, სოფ. ორტობანში ცხოვრობს მოხუცი ვასო დრიაევი, რომელსაც აგრეთვე უნდა ჰქონდეს ასეთივე სახის, ძველი ქართული ყაიდის ავეჯი (თვითონ ხელოსანიაო).

წინაგარაში კოლმეურნეობის კრებას საღამოხანს ჩვენ გა-ვაცანით არქოლოგიური აღმოჩენების მნიშვნელობა და გა-მოვკითხეთ, რის შემდეგაც შეგვპირდნენ, რომ: „თუ ასეთი აღმოჩნდება ჩვენს სოფელში, მაშინ შეგატყობინებო მუზე-უმში“.

სოფ. ჩვემო ბალეგი

დილით, სოფ. წინაგარიდან 17 ნოემბერს გავემზავრე სოფ. ქვემო ბალებში, სადაც, სოფ. ხელოუბანში მცხოვრები თამარ აკოლაშვილის ცნობით, გუცმაზოვიანთ ოჯახში გვეგულებოდა მიწაში შემთხვევით ნაპოვნი არქეოლოგიური ნივთები – „30 წლის წინათ გუცმაზოვი ვანო თავის კარებზე /ეზოში/ აკეთებდა კალოს, მიწის თხრის დროს იპოვნა სურები და პატარა ქილები. ვანო მოკვდა, დარჩა შვილები: გრიშა და ილიკო, რომლებიც წითელ არმიაში არიან“. სოფელში გავიგვა, რომ ერთი ძმის ოჯახი თბილისშია, მეორე ძმის მეუღლე კი

გორში იყო ბაზარზე წასული, რის გამოც ჩვენ საშუალება არ გვქონდა შეგვემოწმებინა ეს ცნობა. გლეხებში მოვახდიონეთ დაკითხვები, რის შედეგადაც გამოირკვა, რომ ზემოხსენებულ შემთხვევას მართლაც პქონია ადგილი.

აქ, სოფელში შემონახულია ძველი, „დარბაზის“ ტიპის სახლი, სადაც ძველი ორნამენტირებული დედაბოძი დგას, მზის დისკოს ორნამენტიანი – ლამაზი ნაკეთობისა; სახლი ეკუთვნის გრიშა კოტეს ძე კულუმბეგაშვილს. კოტეს მამა, შალვა 100 წლის წინათ ჩამოვიდა სოფ. ყლარშიდან სოფ. ქვემო ბაღებში და ეს დარბაზი იმდროინდელი ნაგებიაო.

იოსებ ცაცოს ძე გუჩმაზოვს აქვს საუფროსო სკამი – ორნამენტირებული, სადა სახის.

ამ სოფელში ბარძიმ კულუმბეგაშვილს, რომელიც, მისი თქმით, 100 წლის უნდა იყოს და ხელოსან-მეხარატეა, შემოუნახავს თავისივე ხელით გაკეთებული სკამ-ლოგინი /ტახტი/ – მეტად ლამაზი ორნამენტებით, ირმების, მზის და ჯიხვის გამოსახულებით შემკული. ტახტი სიგრძით 3 მეტრის უნდა იყოს, სიგანით – 1 მეტრის.

ამავე სოფელში კატო კულუმბეგაშვილს და მის შვილს, ზაქარია სიკოს ძეს აქვთ აგრეთვე ლამაზი, საუფროსო სკამი. მათი სკამი ზემოთ ნახსენებ სკამზე უფრო ლამაზია და მოხდენილი ორნამენტი აქვს. ამათვე აქვთ „დარბაზის“ საინტერესო ჩუქურთმიანი ბოძები. მათ გადმომცეს ხის სამარილე, ჯვრისა და მცენარის ორნამენტებით შემკული.

სოფ. ქვემო ბაღებიდან ავიარეთ სოფ. გობოზაანთ კარში, სადაც არის „დვოისმშობლის ხატი“ – კლდეში გამოკვეთილი სამსხვერპლო; უდროობის გამო ვერ დავათვალიერეთ და განვაგრძეთ გზა სოფ. ზემო ბაღებისაკენ.

სოფ. ზემო ბაღები

ჩვენ იქ მივედით დიმიტრი გაგლოშვილის სახლში, სადაც წინასწარვე, მისივე ცნობით, გვეგულებოდა ბრინჯაოს ამაზონის ტიპის ცული. მისმა შვილმა, გიგუცა დიმიტრის ძე

გაგლოშვილმა გადმოგვცა ბრინჯაოს ეს ცული. როდესაც გიგუცას ვესაუბრეთ და გამოვკითხეთ, თუ სად იპოვა ბრინჯაოს ცული, მან განაცხადა: „საბოსლე შენობის საძირკველს რომ ვჭრიდით, მაშინ ვიპოვეთ“. როცა ვუთხარი, რომ ჩვენ აქ, მომავალში, გათხრებს ჩავატარებთ, მან, რატომდაც, პოვნის ადგილად დაასახელა კასპი – „რკინიგზის აქეთ, დიდი შენობის ადგილას, 6 წლის წინათ ვიპოვეთ“. შეიძლება ეს განგვიცხადა იმისათვის, რომ ბოსლის შენობა არ დაარღვიონო.

სოფ. ზემო ბაღებიდან გადავედით სოფ. კიტრეულში, სადაც მოსახლეობენ თვაურები და კუდუხაშვილები.

სოფ. კიტრეულა

სოფ. კიტრეულა მდებარეობს მდ. ბერშოულას დინების მარცხენა მხარეზე. მოსახლეობას ჩვენ განვუმარტეთ ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლების მნიშვნელობა, რის შედეგადაც კოლმეურნეობის საწყობის გამგისგან, მიხა თანდილას ძე თვაურისაგან გავიგეთ: <<1941 წლის ზაფხულში თიბვის შემდეგ მთიბავები ისვენებდნენ ცეცა კუდუხაშვილის პატარა ბაღჩაში, სადაც მოირბინა პატარა ბიჭმა და განაცხადა, რომ ხევის თავზე, სამხრეთ-აღმოსავლეთით, „კურმა ძუარ“-ის სამხრეთით, ფერდობთან, მუხის ძირში იპოვნა „მწვანე ფერის რაღაც ნივთი“. მაშინ მთიბავები მივიდნენ და როცა ნახეს ეს ნივთი, განაცხადეს: ეს, ვიდაცას „ჯადო“ დაუგდიათ; ამიტომ ნივთს არავინ მიეკარა>>. მაშინ, მიხა თანდილას ძე თვაური, მიუხედავად მთიბავების გაფრთხილებისა, დაინტერესდა და ეს ნივთი წამოიდო საწყობში შესანახად. სხვათა შორის, ის დაინტერესდა ნივთის – „გამოურკვეველი გამოსახულებებით და დანიშნულებით“, რის გამოც შენახული პქონდა. მასთან საუბრის დროს ჩვენ ვთხოვეთ მოეტანა ზემოთ ნახსენებ ადგილში ნაპოვნი „გამოურკვეველი ნივთი“. ის წარმოგვიდგინა ჩვენ და გვთხოვა, გაგვერკვია მის „შინაარსში“. ეს ნივთი აღმოჩნდა ბრინჯაოს ბალთა.

ბრინჯაოს ბალთა ოთკუთხა ფორმისაა, კოპულებიანი; ჩარჩოზე გარშემო გასდევს სპირალური ორნამენტები. მის

შუაგულში გამოსახულია ფანტასტიური, სტილიზაციაქმნილი ცხენი, რომელსაც კისერზე აყრია წნული ფაფარი, სახე კი „გველეშაპის“ აქვს. მთავარი გამოსახულების თავზე, წამოწოლილ მდგომარეობაში მოცემულია ხარი, მოზრდილი რქებით, რომელსაც მოხრილი აქვს კისერი და თავი, მხარზე ადევს დახვეული კუდი. ქვედა ჩარჩოს თავზე გამოსახულია ფრთებგაშლილი ფრინველი, რომელიც მოგვაგონებს მტრედს და თითქოს ძუძუს წოვს ზემოაღნიშნულ ცხენს. გვერდით კი, ჩარჩოს გასწვრივ, მარჯვნივ, ორ ფეხზე მდგარი გამოსახულებაა, რომელიც ცხენს პირში უვარდება საყეფრად. ჩვენი აზრით, ეს უნდა იყოს ძალი, თუმცა მას ისეთივე პირისახე აქვს, როგორც მთავარ ფიგურას. ბალთას მეორე მხარეს მოტეხილი აქვს შესაკრავი ენა, მხოლოდ მრგვალი აბზინდი აქვს დასამაგრებლად.

მისა თვაურთან ერთად, ჩვენ დავათვალიერეთ აღმოჩენის ადგილი. მეორე დღეს, ხუთშაბათს, 18 ნოემბერს ჩავისაზეთ ზოგადი გეგმა აღმოჩენის ახლო მდებარეობისა. ამის შემდეგ გაგემზავრეთ სოფ. უდელტეხილისკენ.

სოფ. უდელტეხილი

ჩვენ აქ დავზვერეთ სხვადასხვა ადგილები და გლეხებშიც ჩავატარეთ დაკითხვა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ აქ, მხოლოდ ერთხელ, 30 წლის წინათ იაგორ ხუროშვილს უპოვნია ფულების განძი, რომელიც წაუდია თბილისში და იქ გაუყიდია. იაგორ ხუროშვილი საცხოვრებლად გადასულა სოფ. ლამს და იქ გარდაცვლილა. მისი შვილები ცხოვრობენ სოფ. წითელუბანში.

სოფ. დდულეთი

კოლმეურნეობის თავმჯდომარის ფიდა ჩერტკოევის გადოცემით, დღულეთის „გრძელი მიწების“ ბოლოზე არხის გაყვანის დროს, „ნაბაღვარის“ ბოლოზე /სახნავი მიწა/, 1,5 მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა ქალის სამარხი, სადაც იპოვეს: ბრინჯაოს მშვილდი, „ჩანგალი“ /„ხორცის ამოსაღებად“/.

კოვზი, შუშის ჭურჭელი, ოქროსფრად დაფერილი შუშის მძივები /„დაახლოებით 2 მუჭა“/. „ჩანგალი“ წამოიდო ეგნა ჩერტკოვევმა /შემპირდა, რომ – ჩამოვიტანო/, ვაზნო ჯიოევის ბიჭმა წამოიდო ბრინჯაოს ბეჭედი. ყველა ზემოთ აღნიშნული ნივთი დაუკარგიათ. სოფ. ლდულეთიდან ნაშუადღევისას გავმგზავრეთ სოფ. ბერშუეთისაკენ.

სოფ. პატარა პერშუეთი

ლექსო დიმიტრის ძე სეხნიაშვილის ცნობით, აქ „ნერგი მიწებში“ /გლეხების ოქმით – „ხევა“-ში/, 20 წლის წინათ, წყლის ადიდებისას ჩნდებოდა შუშები და მძივები, „ნერგის“ მახლობლად.

სოფ. ლილი პერშუეთი

აქ ია გიგას ძე ბიძინაშვილს დაცული აქვს „დარბაზის“ ტიპის ბოსქლი, სადაც არის კარგი სახის, ორნამენტირებული დედაბოძი.

სოფ. კირპალი

სოფ. კირპალში ჩვენ დავრჩით დამის გასათევად. აქ დავკითხეთ გლეხები. მათთან საუბარში გამოვარკვიე, რომ: <<მიწის სამუშაოების შესრულების დროს, სოფლის თავზე, „ნასახლარებში“ ჩნდება პატარა ჭურჭლის ნატეხები და დამტვრეული სურები>>. ეს ცნობა სიმართლეს რამდენად შეეფერება, არ ვიცი.

გიორგი ივანეს ძე პაპიტაშვილის მეუღლეს, ანნა პაპიტაშვილს აქვს „დარბაზი“, სადაც ორ დედაბოძზე ამოკვეთილია ჩუქურთმები. კოლმეურნეობის თავმჯდომარის, ვასო პაპიტაშვილის მამას, ნიკო პაპიტაშვილს აქვს „დარბაზის“ ცალი კედელი, სადაც დაცულია ბუხარი, თახებები და ჯამების შესაწყობი მრგვალი, ორმოსებური „საჯამეები“.

სოფ. ღრმობი

სოფ. ღრმობი, სოფლის უკან, „ქედის მიწაში“ /„ქედი ხომ“/ სიმინდის თოხნის დროს ანტონ ზაქარიას ძე ხაჩიროვმა /ხაცირთა/ იპოვა ბრინჯაოს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია მწოლარე ხარი, რომლის ქვემოთ გარბის ხარირები. ბრინჯაოს ეს ბეჭედი გადმოგვცა ანტონ ხაჩიროვმა.

სოფ. ქეცხურა

1942 წლის ზაფხულში „ქვათა ხევას ნაგლუჯში“, ხევის პირას, მარჯვნივ, წყალდიდობის შემდეგ პატარა მწყემსმა ბიჭმა ოტო ილიკოს ძე გენგიურმა იპოვა მოწითალო ფერის თიხის სურა, მუცელგანიერი და პირგადაშლილი, რომელიც მისმა მამამ გადმომცა 1943 წლის 19 ნოემბერს.

ნუცა გენგიურის ცნობით, „ვათნულების“ ვენახების თავზე, სახელდობრ გიორგი ბიბილაშვილის ვენახის თავზე, ჩნდებოდა თიხის ჭურჭელი. ქეცხურას უბნიდან გადავედით „ჩარხის“ უბანში.

სოფ. ჩარხის უბანი

აქ ვნახეთ კოლმეურნეობის თავმჯდომარე სერგო ნიკოლოზის ძე მიქელაძე, რომელსაც გავაცანით ჩვენი მისვლის მიზანი. მიქელაძემ წაგვიყვანა გლეხებთან, რომლებიც სიმინდის რჩევაზე მუშაობდნენ. ჩვენ მათ გამოკითხეთ აღმოჩენების შესახებ. ჩარხისუბნის მცხოვრებმა, 58 წლის ნიკა აბრამის ძე ბეგიაშვილმა გვიამბო, რომ: <<1928 წელს, „შარმადიანთ ვენახების“ თავთან, გიორგი შერმადინის ვენახის თავზე, არხის გაყვანის დროს ჩნდებოდა სხვადასხვა ნივთები, რომლებიც გადასცეს არხის სამუშაოების მწარმოებლებს, ტექნიკოს გურგენიძეს თუ გურგენიშვილს>>.

სოფ. პატარა მეჯვრისხევი

სოფ. პატარა მეჯვრისხევში ცხოვრობს მჟედელი ბესო

ეფრემის ძე ელიაური, 76 წლის. იგი 60 წელიწადია მჭედლად მუშაობს. ეს ხელობა ისწავლა სოფ. ბელოთში, ლექსო ტერაშვილთან. თვითონ წარმოშობით სოფ. ვილდიდანაა და დასახლებულა სოფ. პატარა მეჯვრისხევში. მუშაობაში მას ამჟამად ეხმარება თავისი შვილიც. ელიაურისგან წამოვიდე ძველი წალდი, რომელიც ეთნოგრაფიული თვალსაზრისით გამოვართვი და გადმოვეცი მუზეუმს.

სოფ. ახალუჩანი /მაჯვრისხევი/

ლევან ივანეს ძე პეტრიაშვილის ცნობით, სოფლის თავზე არხის გათხრის დროს აღმოჩნდა სამარხები /გიგო და ლევანა პეტრიაშვილების ვენახის თავზე/. სოფ. ახალუბანს და სოფ აძვს შორის, სოფ. ჯარიაშენის გზისკენ, ხოდაბუნების მიწებში, ე.წ. „ხმალაანთ მიწებში“, არის დაბალი, პატარა ზომის ყორდანი. ეს ყორდანი მაჩვენეს შოთა და ავთო მიღრიჯანაშვილებმა.

სოფ. გოიაანთ კარი

სოფელში, წყაროს მახლობლად, „შაკათ გორა“-დან ჩამოდის ხევი, სადაც, გლეხების ოქმით, წყლის ადიდებისას ჩნდება სხვადასხვა ნივთები. კეკელაშვილების და ელიაურების უბანში, „უოჟის ხევის“ დათვალიერებისას ვნახე რამდენიმე ძველი ჭურჭლის ფრაგმენტები, საიდანაც წამოვიდე თიხის ქილის ნახევარი.

სოფ. იალგუზი

მიტუშა ელიოზის ძე ხუგასოვმა, გაბილა რევაზის ძე ხუგასოვის შვილიშვილმა, „ჩხარაულის მიწის“ თავზე იპოვა ბრინჯაოს პატარა ზომის ყუადაქანებული ცული, რომლისთვისაც პირი დაუჭერებიათ ქვაზე დარტყმით. სოფ. ჩხარაულას და სოფ. იალგუზის შორის, სახნავი მიწების თავზე არის დაცემული ფერდა, სოფ. ვალიაანთ კარისკენ მიმავალი გზის გადმოსწვრივ, ხევის აქეთ, რომლის თავზეც არის თხილისა

და კუნელის პატარა, დაბალი ტყე-ბუჩქნარი. აქ ცხვრებს მწყემსავალა მიტუშა ხუგასოვი, რომელმაც მიწაში შენიშნა ბრინჯაოს აღნიშნული პატარა ცული და სახლში წამოიღო, ააგო ხის ტარზე და ხმარობდა. 21 ხოემბერს, კვირას ჩვენ ვიყავით იკორთაში, სადაც მიტუშას ბიძაშვილებისგან შემოხვევით შევიტყეთ, რომ მიტუშა ხუგასოვმა იპოვა ზემონასხენები ბრინჯაოს ცული. მან ეს ცული ჩვენ გადმოგვცა.

სრუ. ფლავისმანი

აქ იღიკო გიუნაშვილს „საქათმესთან“, ძველი არხის გაჭრისას, გამოუჩენია სამარხები, სადაც უპოვნია მძივები და თიხის ჭურჭელი. მძივები სხვადასხვა ნათესავებისთვის გაუნაშილებიათ. ჩვენ რომ მოვთხოვეთ, მისი მეუღლე შეგვპირდა: მუზეუმში წარმოგიდგენთ, თუ ვიპოვეთო.

თენგიზ გიუნაშვილის ცნობით, რომელმაც აღმოჩენის ადგილი გვაჩვენა, მის დას – დუქსასაც, იმავე არხის ადგილში, წვიმის დროს უპოვნია მძივები.

სრუ. ქარქიანთ პარი

ქარქიანთ კარში, სოფლის ჩრდილო-დასავლეთით არის საკირე – ორმო, საიდანაც ოთახის გასაღესად მიაქვთ მიწა. ნინო სოსეს ასულ ქარქიშვილს აქ, თეთრი მიწის /კაოლინია/ თხრის დროს, უპოვნია პატარა ზომის საღესავი ქვა. იღო თემოს ძე ქარქაშვილის ცნობით, – „40 წლის წინათ, ბოსლის საძირკვლის გაჭრის დროს, 1 მეტრის სიღრმეზე ესტა მელაძეს უპოვნია ბრინჯაოს სამაჯურები და პატარა ზანზალაკები“. იღო თემოს ძე ქარქიშვილმა თავის ბოსელში მაჩვენა ოთხეუთხა ფორმის ქვის აკლდამა, სადაც, მისი თქმით, გამოჩენილა მიცვალებულები, – რამდენიმე ერთად. თვით იღო თემოს ძეს, სოფლის გვერდით, გზის პირას მდებარე მიწაში ხვინის დროს უპოვნია, მისი აღწერით, ბრინჯაოს უუადაქანებული ცული; იქვე უპოვნია მრგვალი ფორმის ბალთა. ცული წამოუღია სახლში, ბალთა კი გადაუგდია მიწაში. იღო თემოს ძემ ეძება სახლში ცული, მაგრამ ვერ იპოვა;

შეგვპირდა, რომ – თუ აღმოჩნდა სახლში, მე თვითონ ჩამოვიტან მუზეუმშიო.

სოფ. არცევი

სოფ. ჩხარაულას და სოფ. არცევის შორის, სოფ. იალბუზის მახლობლად, ჩვენი დაზვერვის შედეგად აღმოვაჩინეთ ძალიან დიდი ზომის ყორდანი, რომელიც აზიდულია კარგა მაღლა. მისი სიმაღლე დაახლოებით 15 მეტრს უდრის, დიამეტრი კი 100-120 მეტრს. აქ შევაგროვეთ თიხის სხვადასხვა ჭურჭლის ფრაგმენტები, სადაც მოცემულია სხვადასხვა სახიანი ორნამენტები. როგორც ზედაპირული მასალა, აგრეთვე წამოვიდეთ: საფეხვი ქვის ფრაგმენტები – სამი ცალი; პატარა ზომის, კბილისებური ფორმის, ბაზალტოვანი ტუფის გამოურკვეველი დანიშნულების ერთი საგანი; აგრეთვე ქვისავე, იარაღის ფრაგმენტი – ცალ მხარეზე მოპრიალებული ზედაპირით, სოლისებური ფორმის, მოგრძო მოყვანილობის. აგრეთვე შევაგროვეთ ცეცხლისაგან გამომწვარი თიხის ბუხრის ფრაგმენტები, სულ 8 ნატეხი, რომლებზეც ატყვია ხისა და ფიჩხის ნაკვალევი. ირკვევა, რომ ბუხარი შელეხილი ყოფილა თიხის სქელი ფენით, რომელიც დროთა განმავლობაში გამომწვარა ცეცხლის დანოების შედეგად.

ყორდანის დასწვრივ, ფლავისმანი-არცევის გზის ბოლოს არის წმინდა გიორგის ეკლესია, რომლის აღმოსავლეთი კედლის თავზე, თეთრ ტუფოვან ქვაზე გამოკვეთილია ჯვარი, რომელზეც მოსჩანს ხუცური წარწერა.

სოფ. ქვეშის თავზე, არხის დასწვრივ სოსე ნიკას ძე რჩეულიშვილმა მაჩვენა „ჭინჭრა გორად“ წოდებული ყორდანი, რომელიც არცეველ გლეხს მოუქცევია თავის ნაკვეთში და ყორდანის მეორე ნახევარი დაუდაბლებია. ძველად, თვით გორაკიდანვე მიპქონდათ ქვები: საშენ მასალად გამოყენების მიზნით, რის შედეგადაც დროთა განმავლობაში ყორდანი დაუდაბლებიათ.

ყორდანის ბოლოს, სახნავ მიწებში, სამხრეთ-დასავლეთით, ოთხ ადგილას არის მომცრო ზომის დეფორმაციაქნილი

յորდანები, რომლებსაც ჩრდილო-დასავლეთით ესაზღვრება „სასახლის მიწები“, სადაც დარჩენილია მამამზე ერისთავის სასახლის ნანგრევები და, გლეხების განმარტებით, ამ მიწის სახელიც აქვდან წარმოსდგება.

თვით „ჭინჭრა გორა“ და მის მახლობლად მდებარე ყორდანები განლაგებულია სოფ. არცევის დასავლეთით, ბალ-ვანახების ქვემოთ, რომლებიც საზღვრავენ სოფ. არცევის და სოფ. ქვეშის მამულების მიჯნას. „ჭინჭრა გორას“ ყორდანის სიმაღლე, დედამიწის ზედაპირიდან, დაახლოებით უნდა უდრიდეს – 1 მ-ს, ხოლო დიამეტრი კი – 30 მ-ს. ყორდანი შუაგულში ერთგან ჩაღრმავებულია, რაღგანაც აქედან ქვები უზიდიათ გლეხებს. ჩვენ გვაინტერესებდა, რომ მოგვენახა ყორდანის ზედაპირული მასალა, მაგრამ გარდა ობსიდიანის ნატეხებისა, ვერაფერი ვნახეთ.

სოფ. ქვეში

ნუცა იოსების ასულ ქონიაშვილთან ერთად მგზავრობისას, შემთხვევით, საუბრის დროს ჩვენ შევიტყვეთ, რომ „ურწყავების“ ჩაზნექილ მიწებში, პლანტაციის დროს, 1941 წლის მარტში გამოწნდა აკლდამები, საიდანაც ვანო ცაციაშვილმა წამოიღო თიხის პატარა ჭურჭელი. ეს ცნობა ჩვენ სოფ. ქვეშში არ გაგვახსენდა და შეუმოწმებელი დაგვრჩა.

სოფ. ქვეშში ცხოვრობს სოფ. ვილდიდან ჩამოსული არსენ დიმიტრის ძე ელიაურის ოჯახი. თბილისიდან გორში მგზავრობის დროს არსენ ელიაურმა ჩვენ გვიამბო: „1930 წელს გლეხებთან ვიყავი მეხრეთ გუთანზე. ხვინის დროს ჩვენ ვოპოვეთ სპილენძის დიდი ქვაბი“, – რომელიც იდგა, ელიაურის თქმით, – „თიხის ცილინდრულ სადგამებზე“. აქვე მათ იპოვეს ბრინჯაოს მოგრძო, ჯოხისებური მილები – 3 ცალი და ფრინველის ქანდაკება, რომელიც ელიაურის აღწერით, – თავისი გამოსახულებით მოგვაგონებს იხვის ქანდაკებას. ეს ნივთები არსენის მამას, დიმიტრის წაუდია სახლში, რის შემდეგაც ქვაბი გადაუკეთებიათ, ხოლო მილები და „იხვის“ ქანდაკება შეუნახიათ. წელს შემთხვევით ქუჩაში შეგვხვდა

არსენ ელიაშვილი თბილისში, სადაც იგი მუშაობს ქარხანაში და შეგვპირდა: „როცა წავალ ვიღდაში, მაშინ ჩამოვიტან ამ ნივთებს და მუზეუმში გადმოგცემთ“. ეს ცნობა სოფ. ქვეშში დაგამოწმეთ არსენის რძალთან და უმცროსი მის შემწეობით შევიტყვეთ, რომ, მართლაც, ეს ნივთები არსენს შენახული ჰქონია სოფ. ვიღდაში, სადაც ქმრის სიკვდილის შემდეგ წასულა მათი დედა და იქ, მთაში იმყოფება, რომელთანაც არსენს დატოვებული აქვს ზემოთ აღწერილი ნივთები.

ჩვენ გვინდოდა წაგსულიყავით სოფ. ვიღდაში და იმავე დროს შეგვესწავლა მდ. მეჯუდის ხეობის ზემო წელის სხვა დასახლებულ ადგილებში არსებული არქეოლოგიური მნიშვნელობის გამოსამუდავნებელი ძეგლები, მაგრამ დროის უქონლობის და უამინდობის გამო გადაწყვეტილება შევცვალეთ და მდ. მეჯუდის ხეობის ქვემო წელის მარჯვენა ნაპირზე მდებარე სოფლებში ამა თუ იმ ძეგლების გამორკვება განვიზრახეთ, რომელთა რიცხვში სოფ. ქვეშიც შედიოდა.

ჩვენ, სოფ. ხელოუბნიდან დავიწყეთ სვლის გეზი, მდ. მეჯუდის დინების საწინააღმდეგოდ, ე. ი. თანდათანობით ზევით წავედით, ტირიფონის ველის გამოურკვეველი ადგილების შესასწავლად და მის ზემოთ მოსაზღვრე პატარა ხეობების დათვალიერების მიზნით, როგორიცაა: მდ. ხურვალეთის ხეობა, მდ. ბერშოულას ხეობა, რომელთა შემოვლის შემდეგ გადმოვედით სოფ. ღრდულეთს და იქიდან სიგანეზე გამოვყევით სოფლებს – ტირიფონის ველის თავზე გადმოვლით – სოფ. ქეცხურამდის, საიდანაც ავედით მდ. მეჯუდის ხეობაში მდებარე სოფ. დიდ ღრომში. ამ სოფელში დაზვერვის შემდეგ გვინდოდა წაგსულიყავით ზემოთ, მაგრამ უკან გამოვბრუნდით და ვარჩიეთ მდ. მეჯუდის ქვედა წელის და მისი მარცხენა ფრთის მახლობლად არსებული ადგილების და სოფლების გამორკვევა, როგორიცაა – სოფ. ფლავისმანის მიდგმამდის მდებარე სოფლები მდ. არცეულას ხეობაში: არცევი, იქორთა, იალბუზი, ჩხარეულა; სოფ. ფლავისმანის თავზე მდებარე სოფლები: ქარქიანთ კარი, ვალიანთ კარი და სხვა. ამ სოფლებიდან როცა ვბრუნდებოდით, თვით სოფ. ვალიანთ კარიდან, გზაზე ჩემი ყურადღება მიიკყრო ძალზე მაღლა აზიდულმა „გორაკმა“, რომლის დათვალიერებამ და იქ

შეგროვილმა არქეოლოგიური მნიშვნელობის ზედაპირულმა მასალამ დაადასტურა იქ ყორდანის არსებობა. ეს ყორდანი, რადგანაც ტერიტორიალურად მდებარეობს არცევის სახოფ-ლო, კოლმეურნეობის სახნავი მიწის გვერდით, ამიტომ მივა-კუთვნე სოფ. არცევს და წინ მოვიხსენიე.

სენებული ყორდანიდან წამოღებული არქეოლოგიური მასალა, თავისი სახით, ეთანაბრება სტალინირის და ზემო ნიქოზე შორის მდებარე ყორდანის, „ნაცარგორას“ ზედა-პირზე ჩემ მიერ შეკრებილ კერამიკულ მასალას, რომლებიც სხოვანების მხრივ ერთმანეთთან ახლოს უნდა იდგნენ და წარმოადგენდეს ერთი და იმავე კულტურის მქონე ყორ-დანებს. ჩვენ მიერ აღმოჩენილი იქნა აგრეთვე იქვე „ხევში“, რომელიც ჩამოუდის ყორდანს აღმოსავლეთ-დასავლეთისკენ, „ნიადაგისძირა“ სამარხების ნაკვალევი, რომლებიც უნდა იყოს დანგრეული აქ მოვარდნილი ნიადვრების დროს. ჩვენ აქაც შევკრიბეთ რამდენიმე ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტები და ქოთნის ყურები, რომლებიც დაახლოებით ეკუთვნის შუა ბრინჯაოს ეპოქას.

სოფ. ქვეშში ყოფნის შემდეგ, მიუხედავად ამინდის შეცვლისა /წვიმა დაიწყო 24 ნოემბერს/, მაინც გადავწყვიტეთ წაგსულიყავი მდ. მეჯუდის დინების მარჯვნივ დარჩენილი ადგილების დასაზვერად და ამით, არქეოლოგიური შესწავლის თვალსაზრისით, სრული წარმოდგენა და შეხედულება გვქო-ნიყო მდ. მეჯუდის ქვემო წელის აუზის შესახებ. აქედან გა-მომდინარე, გავაგრძელეთ გზა და გავყევით მინდორს სოფ. ციცაგიანთ კარისაკენ. გზადაგზა ვეძებდით ყორდანულ სამარ-ხებს და სხვა ძეგლებს, მაგრამ არაფერი არ შეგვხვდრია.

ჩვენ ჩავედით სოფ. ციცაგიანთკარში და გლეხებს გამ-ოვკითხეთ აღმოჩენათა შესახებ, მაგრამ უშედეგო პასუხი მივიღეთ ყველასაგან. აქედან წაგედით ქვემოთ, სოფ. თორ-ტიზისაკენ. ჩვენ იქ გავედით მდ. მეჯუდაში, მის მეორე მხ-არეზე, რათა დაგვეთვალიერებინა მდინარის მახლობლად მდებარე „ამაღლების“ ეკლესია. მის გვერდით არის სასა-ფლაო, სადაც დაცულია ე.წ. „გორაკი“, რომელიც, ჩვენი აზრით, უნდა იყოს ყორდანული სამარხი და მოსახლეობას

გამოუყენებია როგორც სასაფლაო ადგილი თავისი მიცვალებულების სოფ.

სოფ. თორტიზაში ჩვენ გავათიერ დამე კოლმეურნეობის თავმჯდომარის, სიმონ ბერძნიშვილის სახლში, მათთან ვისაუბრეთ და გამოვკითხეთ, მათ სოფელში ადგილი ჰქონია თუ არა არქეოლოგიური ღირებულების მქონე, რაიმე ნივთების შემთხვევით გამოვლენას, მაგრამ გამოირკვა, რომ ასეთი შემთხვევის შესახებ არაფერი იციან. აქედან, მეორე დღეს, 25 ნოემბერს გაგემგზავრეთ სოფ. ქვემო რეხისაქნ.

სოფ. ქვემო რეხა

სოფ. ქვემო რეხაში არის ეკლესია, რომელიც იწოდება „ღვთიშობლის“ სამლოცველოდ. აქ არის რამდენიმე საფლავის ქვა, საინტერესო თავისი ეპიტაფიების მხრივ, რომლებიც ჩავიწერეთ და შემდეგ აქაც მოვახდინეთ დაკითხვები. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჩვენ თავად გამოგვივა ე. წ. „ჭაობის მიწისკენ“, რომლის გვერდით, ე. ი. სოფ. ბერბუკისაკენ მიმავალ საურმე გზის მახლობლად, მდებარეობს მოსახლეობის მიერ „გორაკად“ წოდებული, ბორცვის სახის, ელიფსოიდის მოყვანილობის მაღლობი, რომელიც, ჩვენი აზრით, აგრეთვე უნდა იყოს ყორდანული სამარხი, რომელიც სიმაღლით უნდა იყოს დაახლოებით 2 მეტრი, დიამეტრით კი – 40 მეტრი. სოფ. ქვემო რეხიდან ჩამოვედით სოფ. ბერბუკს.

სოფ. პერპუკი

სოფლის სახელწოდება – „ბერბუკი“ უნდა წარმოსდგებოდეს „ბერ-თა ბუკი“-დან. სოფელი მდებარეობით განლაგებულია მაღლობზე, რომელიც წარმოადგენს ზეგანს და აქეთიქიდან, გარშემო არტყია დაცემული ვაკე-მინდვრები, სადაც სოფლის მახლობლად გაშენებულია ბაღ-ვენახები. აქ გლეხები სშირად პოულობენ დვინის დიდ ქვევრებს, რაც მიგვითოებს, რომ ამ ადგილებში ძველთაგანვე მევენახეობას თვალსაჩინო ადგილი სჭერია სოფლის მეურნეობაში.

თვით სოფ. ბერბუკი ამჟამად შეერთებულია ქ. გორთან, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ წარსულში ის ქალაქიდან დაშორებული იყო დიდი ბაღებით და ვენახებით. სახელ-დობრ აქ ვინ ცხოვრობდნენ – არ ვიცით. ამაში შეიძლება გავერკვიოთ მხოლოდ მისი სახელწოდების მიხედვით: ეს ადგილები, როგორც ქ. გორთან ახლო მდებარე, შეიძლება ეკუთვნოდა გორის საეკლესიო წოდებას და ამ ადგილას იყო გახსნილი სასულიერო ეკლესია-მონასტერი, სადაც ცხოვრობდნენ ბერად აღკვეცილნი; რადგანაც მაღალი ადგილი იყო, „წირვის“, „ლოცვის“, დღესასწაულის ან „უბედურების ჟამს“ აქედან ბუკით უხმობდნენ ახლო მცხოვრებლებს და გორელებს, რათა მოსულიყვნენ და შეგროვილიყვნენ. ასეთი წესი შემონახული იყო თვით მთიან ადგილებში – მაგალითად: სვანეთში ბუკით ამცნობდნენ რამე შემთხვევის დროს, რათა ერთ ადგილზე შეკრებილიყვნენ მცხოვრებლები; ასევე, დღესაც დაცულია ასეთი ლითონის ბუკები უზბეკისტანის ზოგიერთ ადგილებში; საქართველოს მუზეუმის სვანეთის ეთნოგრაფიის გამოფენაზე ერთი ასეთი ლითონის ბუკი არის წარმოდგენილი.

ბერები რომ მართლაც აქ, სოფ. ბერბუკში ცხოვრებულან, თვით სიტყვა „ბერ-ბუკ“-ს თავსართი მიგვითითებს.

სოფ. ბერბუკში, სოფ. ქვემო რეხის მიმართულებით, სოფლის თავში არის ერთი მომრგვალებული, დიდი და დაბალი სახის ბორცვი, რომელიც, ჩვენი აზრით, აგრეთვე ყორდანული სამარხი უნდა იყოს.

სოფელ ბერბუკში ჩვენ დიდხანს არ დავრჩენილვართ, რადგან ამინდი ხელს არ გვიწყობდა და ქ. გორის ჩამოვედით იმავე დღეს.

სერგო ნადიმაშვილი

1943 წლის 25/XII.

Sergo Nadimashvili

The Archaeological Sites of Kartli

SUMMARY

The Selected Works „The Archaeological Sites of Kartli“ consist of reports by Mr. Sergo Nadimashvili, the famous Georgian archaeologist and museum specialist, based on the archaeological field researches made by him in the territory of Shida Kartli in the 1930-40; This edition also includes the Theoretical Paper – „What are Barrows and The Aim of Studying of Them“, in which the types, estimated volumes and ways to find the barrows and the purposes of building them are generalized.

Mr. Sergo Nadimashvili started his career thanks to Academician Ivane Javakhishvili – the Patriarch of The Historical Science of Georgia; He assigned the 18 years old young man in the 1935 to search and discover architectural and archaeological remains on the territory of Kartli. After, in 1936 Mr. S. Nadimashvili under the recommendation of Academician Iv. Javakhishvili and Mr. Levan (Lenko) Muskhelishvili took part in the famous Trialeti Archaeological Expedition, which was headed by Acad. Boris Kuftin. Since that time Mr. S. Nadimashvili had been participating in almost all those expeditions (1936-1952) led by Acad. B. Kuftin.

The introduction of the Selected Works provides the followings: Characteristics made by Acad. Nikoloz Berdzenishvili and Acad. Boris Kuftin for the archaeological and museum works made by Mr. Sergo Nadimashvili in 1930-40 years.

The following archaeological sites had been discovered by Mr. S. Nadimashvili in 1930-40 and were studied with his participation in the same period (1938-46): „Kharis Gora“ – the ancient cemetery of Tkviavi village (excavations headed by Prof. Sergi Makalatia, 1938-40); The ancient cemetery of the village Dvani (excavations headed by Prof. Sergi Makalatia, 1944-45); „Natsargora“ – the ancient settlement of Tskhinvali region (excavations headed by Ph.D. G. Gobejishvili in 1946), etc.

Mr. S. Nadimashvili discovered a lot of archaeological sites (from the Bronze Age – to the Middle Ages) in the Tirifona Valley (Gori district) in November 1943; Here is the list: abandoned villages and settlements, barrows, cemeteries, some archaeological artifacts (Gori Historical - Ethnographical Museum) are in this Selected Works. In 1956 S. Nadimashvili started excavations of the ancient multi-stratum (from the Bronze Age

to the early feudalism period) settlement Gudabertka-Tsikhiagora, discovered by him (the expedition headed by the Acad. Sh. Amiranashvili). Gudabertka-Tsikhiagora is located between the contemporary villages Sveneti and Akhalsheni (Gori district) and in this Selected Works it is mentioned as Sveneti hill. Mr. S. Nadimashvili gave reports on the results of the excavations of „Gudabertka-Tsikhiagora“ in Moscow, in Leningrad, in Tbilisi at the conferences and sessions held at the Institutes for History and Archaeology, also at the Institutes of the Academy of Science of USSR and at State Museums⁹.

In addition, there is in The Selected Works the bibliography about Mr. S. Nadimashvili and some photographs of Trialeti's, Tkviavi's, Dvani's archaeological expeditions from Mr. S. Nadimashvili's photo-archives.

Mr. Sergo Nadimashvili has contributed a great deal in discovering and studying of the archaeological sites in Kartli region, and the result of these studies is this Selected Works – „Archaeological Sites of Kartli“.

9 I. S. Nadimashvili – The Archaeological excavations one of the ancient abandoned settlement „Gudabertka-Tsikhiagora“ of Shida Kartli Region, South Osetia and Trialeti in 1956 (theses).
II. S. Nadimashvili - Archaeological excavations of the ancient abandoned village „Gudabertka-Tsikhiagora“ of Shida Kartli – III session at Gori State Historical - Ethnographical Museum, the work plan and theses. Gori, 1961, pp. 15-19.
III. Sh. Amiranashvili, S. Nadimashvili - The results of the archaeological expedition of the ancient abandoned village „Gudabertka-Tsikhiagora“ of Shida Kartli in 1956-60 The results of the archaeological researches conducted in Georgia in 1960, the work plan. Tbilisi, 1961, pp. 18-19.
IV. Sh. Amiranashvili, S. Nadimashvili. The results of the archaeological expedition of the ancient abandoned village „Gudabertka-Tsikhiagora“ of Shida Kartli in 1961 (theses). The brief summary of the sessions held in 1962 at the Institute for History of the Academy of Science of Georgian SSR. Tbilisi, 1962, pp. 12-15.

პიტლიოგრაფია სერგო ნადიმაშვილის შესახებ

1. ც. აბესაძე – ლითონის წარმოება ამიერკავკასიაში მვ. წ. III ათასწლეულში. თბილისი, 1969, გვ. 19, 50, 103, 106.
2. ა. აფაქიძე – ქართული არქეოლოგიური ტერმინოლოგიის მასალები. მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, IV. თბ., 1965, გვ. 160, 164.
3. ი. ბერძნიშვილი – გორის ციხე. 1960, გვ. 11.
4. გ. გობეჯიშვილი – არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში. თბ., 1952, გვ. 46.
5. ი. გძელიშვილი – ხადიკის ყორდანი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XI. თბ., 1950, გვ. 697.
6. მარგარიტა ლორთქიფანიძე – ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი. თბ., 1969, გვ. 19, 156.
7. ე. მაისურაძე – ოთხი წელი ჭექა-ქუხილში. თბ., 1977, გვ. 212-215, 257, 269, 274.
8. ს. მაკალათია – ტყვიავის ყორდანული სამარხების არქეოლოგიური გათხრები. თბ., 1943, გვ. 10, 11.
9. ს. მაკალათია – დვანის ნეკროპოლის არქეოლოგიური გათხრები. თბ., 1948, გვ. 6.
10. ი. მეგრელიძე – დიდი ლიახვის ხეობის სიძველეები და მათი წარწერები. თბილისი-სტალინირი, 1957 წ. სტალინირის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები III. 1957, გვ. 232-234.
11. ი. მეგრელიძე – სიძველეები ლიახვის ხეობაში. თბ., 1984, გვ. 14, 22, 23, 50, 162.
12. ჯ. ნადირაძე – მზით ანთებული ათასწლეულები. თბ., 1989, გვ. 67.
13. აგტორთა ჯგუფი, რედაქტორი აკად. გიორგი მელიქიშვილი – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი I, – საქართველო უძველესი ხანიდან ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნეებდე. თბ., 1970, გვ. 156, 179, 182.

14. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტი – გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. თბ., 2002, გვ. 4.
15. ვ. სიჭინავა – მასალები მევენახეობის და მეღვინეობის ისტორიისათვის საქართველოში. თბ., 1960, გვ. 32.
16. გ. ფხაკაძე – ქვემო ქართლის ენეოლითი. კიკეთის ენეოლითური ძეგლები. თბ., 1963, გვ. 8, 64.
17. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი III. თბ., 1978, გვ. 229, 290.
18. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი XI. თბ., 1987, გვ. 481.
19. ქართული ენციკლოპედიის საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა 5 – გორის, კასპის, მცხეთის, ქარელის, ხაშურის რაიონები. თბ., 1990, გვ. 83, 398, 468.
20. დ. ქორიძე – თბილისის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1955, გვ. 33, 123.
21. ტ. ჩუბინიშვილი – „ამირანის გორა“, მასალები მესხეთ-ჯავახეთის უძველესი ისტორიისათვის. თბ., 1963, გვ. 111.
22. ტ. ჩუბინიშვილი – მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთის უძველესი კულტურა. თბ., 1965, გვ. 142-145.
23. ლ. ჭილაშვილი – ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. თბ., 1968, გვ. 75, 136.
24. ო. ჯაფარიძე – ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში. თბ., 1955, გვ. 20, 24, 25.
25. ო. ჯაფარიძე – ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე. თბ., 1961, გვ. 11-12, 22, 26, 50, 53, 55, 60, 65, 75, 87, 96.
26. ო. ჯაფარიძე – არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, ქართველი ტომების ისტორიისათვის ძვ. II ათასწლეულში. თბ., 1969, გვ. 126.

27. Ш. Дедабришвили _ Памятники эпохи ранней и средней бронзы. Труды Кахетинской археологической экспедиций (1965-1966 г.г.). Тбилиси, 1969, с. 46.
28. А. И. Джавахишвили _ Строительное дело и архитектура поселений южного Кавказа V-IV тыс. до н. э. Тб. 1973, с. 177.
29. Б. А. Куфтин _ Археологические раскопки в Триалети. Тб. 1941, с. 1.
30. Б. А. Куфтин _ К проблеме энеолита внутренней Картли и Юго_Осетии. Вестник гос. музея Грузии, т. XIV-В. ТБ. 1947, с. 69, 74, 81, 82.
31. Б. А. Куфтин _ Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго_Осетию и Имеретию. Тб. 1949, с. 1, 17, 29, 35.
32. К. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили _ Древние культуры Южного кавказа. Ленинград, 1970, с. 62, 75, 76, 107, 165.
33. В. А. Любин _ Археологическая разведка в окрестностях города Сталинира. АН СССР, краткое сообщение института истории материальной культуры, выпуск 60, М. 1955, с. 14.
34. Р. М. Мунчаев _ Древнейшая культура Северо-Восточного Кавказа, М. И. А. N 100. М., 1961, с. 14, 35, 37, 41, 44, 57, 68, 111.
35. Р. М. Мунчаев _ Кавказ в эпоху энеолита и ранней бронзы (V-III тыс. д. н. э.). Автореферат диссертации на соискании ученой степени доктора исторических наук. Тб. 1971, с. 24.
36. А. М. Нергуль _ Археологические находки семян винограда. Советская археология, 1960, М., N1, с. 112, 117.
37. А. И. Нергуль _ Эволюция размера семян ягод винограда. Известия Тимирязевской сельско-хозяйственной Академии. 1960, М., N 2 , с. 33.
38. К. Пицхелаури _ Восточная Грузия в конце бронзового века. Тб. 1979, с. 146.
39. Е. Г. Пчелина _ Погребальные комплексы из Сохта, Уруслзуар и Рук. Известия Юго- Осетинского научно-исследовательского института, выпуск XV. Цхинвали, 1968, с. 152.

40. Советская Археология, 1957 г. N 1, Археологические пленумы и конференции 1956 года АН СССР. М., с. 293.
41. Ф. Тавадзе, Т. Сакварелидзе _ Бронзы древней Грузии. Тб. 1959, с. 41.
42. Б. В. Техов_Позднебронзовая культура Лиахвского бассейна. Сталинири, 1957, с. 25, 50.
43. Б. В. Техов _ Очерки древней истории и археологии Юго_Осетии. Тб. 1971, с. 20, 53, 65, 133, 134, 278.
44. Т. Н. Чубинишвили _ К древней истории южного Кавказа. Тб. 1971, с. 92, 93, 94.
45. З. Янушевич _ Культурные растения юго-запада СССР по палеоботаническим исследованиям. Кишинев, 1976, с. 142, 207.

პიროვნება

1. გ. ზაქარაია – გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. გაზეთი „კომუნისტი“: თბილისი, 1955 წ. N 195 /10281/, გვ. 3.
2. ვ. ჯანაშვილი – ქართული კულტურის სათავეებთან, გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. გაზეთი „სტალინელი“: ქ. გორი, 1955 წ., 9. IX, N178 /3189/.
3. შ. ვარძელაშვილი – ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. გაზეთი „სტალინელი“: ქ. გორი, 1959 წ., 7. VII, N 132 /4166/.
4. Глеб Голубев_ Путешествие в глубь веков. Журнал „Вокруг Света“, 1956 г., N 5, май, с. 33-36.
5. Ираклий Гоциридзе _ В глубь веков... ценные археологические находки. Газета „Заря Востока“, 1955 г. 28 августа, N 204, с. 3.

**ფოტოსურათები ს. ნადიმაშვილის
პირადი არქივიდან**



გორის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები და
თანამშრომლები მცხეთაში, „ბებრის ციხეზე“, 1938 წ.
მეორე რიგში, მარცხნიდან მეორე: პროფ. სერგი მაკალათია;
მეოთხე რიგში, მარჯვნიდან პირველი: სერგო ნადიმაშვილი.



თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიცია, სოფ. აგრანდო, 1936 წ.


მარცხნიდან მესამე: აკად. ბორის კუჭტინი; მარცხნიდან მეოთხე: სერგო ნადიმაშვილი.



თრიალეთის ქქსაცდიცის სავაჭრე რაზმი, 1936 წ.
პირველ რიგში, მარჯვნიდან პირველი: რაზმის ხელმძღვანელი სერგო
ნალიმაშვილი.

၁၃၆၂၊ ၂၀၁၂ ခုနှစ်၊ မြန်မာနိုင်ငံ၊ ရန်ကုန်တောင်ပေါ်တွင် မြန်မာအားလုံး၏ ပုဂ္ဂန်များ ဖြစ်ပေါ်ခဲ့သည်။





თრიალეთის არქეოლოგიური კენაცვის, 1936წ.



პროფ. სერგი მაკალაძის ტეკნიკის ყორდან „ხარის გორან“
არქეოლოგიური გათხრების დაწყებისას, 1938 წ.



ტევიავის ყორდან „ხარის გორას“ გათხრის პროცესი, 1938 წ.



Q
ဒေသကြောင်းပွဲမှုပါန်များ၊ ရန်ကုန်မြို့၊ မန္တလေးခွင့်၊ ၁၉၃၈ ခု.



სერგო ნადიმაშვილი და სერგი მაკალათია სოფ. დვანის სამაროვანის პრეპარაციის დროს, 1945 წ.

სარჩევი

1. წინასიტყვაობის მაგიერ	3
2. აკად. 6. ბერძენიშვილის დახასიათება	6
3. აკად. პ. ქუფტინის დახასიათება	9
4. სერგო ნადიმაშვილი –	
ა) რა არის ყორდანები და მათი შესწავლის მიზანი	11
ბ) წალკაში აღმოჩენილი ყორდანები	17
გ) ქართლში ახლა აღმოჩენილი ყორდანები	19
დ) ტყვიავის „ძველ მაღლების ყორდანები“ და მათი აღმოჩენის ისტორია	25
5. სერგო ნადიმაშვილი – 1939 წლის საველე არქეოლოგიური ძიებების შედეგები:	
ა) არქეოლოგიური დაზვერვები მდ. ფრონეს ხეობაში	28
ბ) არქეოლოგიური დაზვერვები მდ. ძამის ხეობასა და ნატახტარ-გორის გზის მშენებლობაზე	36
გ) არქეოლოგიური დაზვერვები ხაშურის და ქარების რაიონებში	41
6. სერგო ნადიმაშვილი – არქეოლოგიური დაზვერვები მდინარეების: მეჯუდის, ხურვალეთის, ბერშოულას და არცეულას ხეობებში (1943 წლის არქეოლოგიურ ძიებათა შედეგები)	45
7. Summary	65
8. ბიბლიოგრაფია სერგო ნადიმაშვილის შესახებ	67
9. ფოტოსურათები	71

გამომცემელი: ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერიის
სერვისი მაკალათიას სახელობის
ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი.
1400 ქ. გორი კირიონ II-ის ქ. №12

This Edition Published by

Sergi Makalatia Gori Historical-Ethnographical Museum.
12 Kirion II str. Gori 1400 Georgia.

დაიბეჭდა შპს “სი-ჯი-ეს“-ში



ტირაჟი: 400



ISBN 978-9941-0-9596-2

A standard linear barcode representing the ISBN number 978-9941-0-9596-2.

9

789941

095962